


საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# საქართველოს საბავშვო ჟურნალი



№ 7



მოგზაობისთვის — ივლისი.



1909

## შინაჯრსი

I—ყვეილი.—ღექსი, ასამანისა . . . . .	3
II—მონადირე და ყორნები —ბაჩანასა . . . . .	4
III—სოფლად.—ღექსი, ბ. ასოსმარეღისა . . . . .	12
IV—ფუტკარი და მისი ცხოვრება —(შემდეგი) აბ. წულა- ძისა . . . . .	14
V—შეილი ვარსკვლავისა. —(ოსკარ უაილდის ზღაპარი) ივა- ნუღისა . . . . .	19
VI—ურია.—(მანტუტისა) კ. ბ.—სა . . . . .	26
VII—წმ. ვერონიკას ჩაღრი.—(სელმა დაგერდუევისა. შემ- დეგი) . . . . .	38
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ი. შო- სეშვიდისა . . . . .	46
IX —ნიკოლოზ ბარათაშვილი, (1816—1845). —ა. ს.—სა . . . . .	50
X—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორა გამოეთხოვა ანდრომასეს, ა. შიქაბერიძისა . . . . .	57
XI—ნარევი:—ა) შარადა,—ბ) რებუსი და აღსნა . . . . .	62

# ნაკადული

საზოგადოებრივი ჟურნალი

წელიწადი მთავრდება

თბილისი, 1909 წ.



ვლადიმერ ლორთქიფანიძე

მაგუბებისა და „ნაკადულის“ მკვლევარი.

თბილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა აზნაგობისა.

# შინაარსი

I—ყვავილი.—ღექსი, აიაშანისა . . . . .	3
II—მონადირე და ყორნები — ბაჩანასა . . . . .	4
III—სოფლად.—ღექსი, ბ. ასოსხიბრელისა . . . . .	12
IV—ფუტკარი და მისი ცხოვრება —(შემდეგი) აბ. წულა- ძისა . . . . .	14
V—შვილი ვარსკვლავისა.—(ოსკარ უაილდის ზღაპარი) ივა- ნელისა . . . . .	19
VI—ურია.—(მაჩტეტის) კ. ბ.—სა . . . . .	26
VII—წმ. ვერონიკას ჩაღრი.—(სულმა ღატერდუფისა. შემ- დეგი) . . . . .	38
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ა. მო- სეშვიდისა . . . . .	46
IX—ნიკოლოზ ბარათაშვილი, (1816—1845).—ა. ხ—სა . . . . .	50
X—მითოლოგია, ტროადის ომი.—ჰექტორი გამოეთხოვა ანდრომასეს, ა. შიქაბურძისა . . . . .	57
XI—ნარევი:—ა) შარადა,—ბ) რებუსი და აღსნა . . . . .	62



# ეკავილი



კლდეზე ეკლებში მიმალულს  
სნამი ცრემლებად სდენია...

ჰკითხეთ: ყველა ხომ მას ეტრფის,  
მაშ, რაღად მოუწყენია?

გაზაფხულის დღე ბრწყინვალე  
ადგამს გვირგვინსა შხისასა,  
ნიაფი ეამბორება,  
სალამს უზიდავს შთისასა...



ღამე ბულბული უგალობს,  
იქვე ეკლებში მჯდომარე,  
დღღე ჩუხჩუხით უმღერის  
და სხივებს აფრქვევს შთოვარე!...  
მაშ, რაღად მოუწყენია?

იასამანი



290



## მონადირე და ყორნები



კაი რჯული გაქვსთ, ყორნებო,  
 გლოვა არ იცით მკვდარზედა;  
 ვაჯკაცს გულს ამოარიღებთ,  
 ჩამაირიგებთ ჯარზედა;  
 ჯურ დაითვრებით სისხლითა,  
 ილტოზედ<sup>1)</sup> ქაზვალთ წყალზედა...

ხალხური

ზაფხულის დილა იყო. მთანი სევდიანნი, გულშეკრულნი და აღშფოთებულნი იდგნენ და ბარისკენ ექირათ თვალი. ეტყობოდათ გმირებს, იმ ღამეს არ სძინებოდათ და ბევრი ეტირნათ, ვინაიდგან ყვავილ-ბალახს ხშირი ნამი ჰქონდა ნამსცვრევი. რა ატირებდა მთებს და რად იპყრობდა ბარი მათ თვალგულს? რა ხდებოდა იქ? იქ იწვოდა სოფლები და ქალაქები, რომლებიც შავს, უკუნეთივით ბნელს კვამლში იყვნენ გახვეულნი. ხანდახან მთების მწვერვალებს რალაც მიწის ძვრის მსგავსი გუგუნე აწყდებოდათ და ქრიაბულით გადასდიოდათ თავზედ. რამდენჯერაც ეს გამოურკვეველი გრიალი მთებს

კენესა ამოჰხდებოდათ გულიდან. ეს კენესა გარდაეცემოდა კლდეებს და სიჰწარის ფერს დასდებდა მათ მტკიცე სახეებს, რომლებსაც, დაქვითინებასთან ერთად, ცრემლად ლოდები სცვიოდათ. რა იყო შერე ეს გუ-

<sup>1)</sup> ილტო—პატარა მდინარე, კახეთში.



გუნი? — ეს იყო თოფ-ზარბაზნის ხმის ჩქრო, რომელსაც ცხატანულის შორილამ იტაცებდა, გადაჰქონდა მათათა ზემოდ და ჰფანტავდა სივრცეში. ვინ ისვროდა მერე თოფ-ზარბაზანს და ან სოფელ-ქალაქებისთვის ვის წაეკიდნა ცეცხლი? — ეს იყო ულმობელი მტერი, რომელიც საქართველოს შემოსეოდა და შეუბრალებლად ანადგურებდა ქვეყანას. აი ეს იცოდნენ მთებმა და ამიტომ იყვნენ აღშფოთებულნი.

მზის შუქმა რა მთების წვეროებს მოჰკრა თვალი და ცოტა ქვევითკენ დაიწია ფერდოზედ, სვავებმა თითო-ორო-ლობით საბუღრებილამ გამოფრენა იწყეს; გადიოდნენ და სხდებოდნენ მზის ყუდროზედ, რა მზე ამოვიდა და მოთბა, ყუდროზედ დაყრილი ქვავები აიშალნენ, იწყეს ჯერ წრეების შემოწერით ზევით, ცისკენ ასვლა; რა საკმაო სიმაღლეზედ ასცილდნენ მთების თხემებს, გაწვრთნილ ჯარივით გამწკრივდნენ და გეზად გასროლილ ისარივით დაეშვნენ ბარისაკენ.

რა საზარელი სანახევია მათი დედამიწაზედ ჩასვლა!

ბარილამ ყორნის გუნდი მოვიდა და აქა-იქ კვარიხებში \*) შესხდა. ერთმა გორის პირზედ მდგომარე არყს შეაფარა თავი. საამურად დარჩა მისახედ-მოსახედი ალაგი, კი სსსიამოვნო ჩრდილი და მასთან სუნნელოვანი ნიავი. დაჯდა სქელს არყის კაპზედ და მაშინვე ძილს მისცა თავი. არც კი გაუგია, რომ იმავე ხეზედ მეორე ყორანიც იჯდა. ნამგზავრ ყორანს მაგრად და ღრმად ეძინა დიდხანს, როგორც მთერალს და სისხლში იყო მთლად გაბანილი. როცა იყო, გაიღვიძა ყორანმა, ოდნავ თვალი მიმოავლო გარეშამოს და ისევ დიდინებას აპირობდა, მაგრამ მეორე ყორანმა აღარ დააცადა და გამოელაპარაკა.

— გამარჯვება! დაიცა, კაცო, კი აღარ დაიძინო, მიამბე რამე, უცხოს და შორეულს მგზავრს ჰგეხარ.

\*) კვარიხი — ვეზი, გამოქვამული კლდე.



— გაგიმარჯვოს შენც! სადა ჰმჯდარხარ მანდ, რომ შენცა და მეცა მდღე ვერ დაგინახე. შორეულს ვგევარ, მე შენ გითხრა, ყველი და ძერა ვარ და არა ყორანი, — ცოტა უკმაყოფილოდ უპასუხა მეორე ყორანი: მგზავრი-კი ვარ და პირველად მოვხვდი ამ მხარეში.

— გეტყობა, ძალიან თავმძიმედ ჰბრძანდები, რომ მაგოდენი გეძინა.

— ეჰ! რა გაეწყობა, ხანდახან ვერც ამას გადაურჩება კაცი.

— სად ჰყოფილხარ მერე?

გაახედა და დაინახვა ცეცხლ-მოკიდებული სოფლები და ქალაქები.

— კი არაფერს დაიკლებდით, კაი ამბებია თურმე იქა.

— ამბებია? შე, კაი კაცი, მეტი რომელი-ღა გინდა? ნახევარ კაცობას გადასული ვარ და პაპის პაპასაც კი ვარ მომსწვრალი, მაგრამ, რაც ეხლა ჩემის თვალით ვნახე, არც იმათგან გამიგონია მაგისტანა რამეები.

— მაშ, როგორც ამბობენ, ოშია და ხალხი ერთურთს ჰელეტავს — არა? — ერთი კარგად მიამბე, თუ ძმა ხარ.

სტუმარმა უთხრა: „შენ ისე შეუბნები, თითქო არაფერი გინახნია და გაგიგონია. რას აკეთებ აქა? ყორნები, სვავები, ორბები, ყაჯირები და ყველა ჩვენი ძმები თავის მოჯიშობით ამ ერთის წლის განმავლობაში სულ იქ არიან. ორ-სამს თვეში — და ისიც ზაფხულობით — თითო-ოროლა დღით თუ წამოვალთ მთაში სააგარაკოდ და შესასვენებლად, თორემ ვისა სცალიან? ეხლაა ჩვენი აღების დრო და ეს დრო განა სულ ყოველთვის გვექმნება? უმაწვალი რომ არა სჩანდე, ხმის გაცემის ღირსსაც არ გაგხდინდი, როცა მაგაზედ მეტი არა გცოდნია. შენი ძმები იქ არიან ყველანი, შენ აქა ჰბრძანდები — ეს სადაურია? სირცხვილი არ არის? რატომ შენც ჩვენთან არა ხარ? ხომ იცი, რომ კაცი მტერია ჩვენი: სადაც მოგვასწრობს, დღეს გაგვითავებს. მაგრამ ამ ჟამად თვითონ უთავ-



დება დღე. ახლა დიდი ომია გაჩაღებული. ერთი ხალხი მშობლებს რაგს მეორეს, ჩვენთვის აღარავის სცალიან. ახლა მათე სი-  
 ცოცხლისგან ვაცლილი თბილი და ცივი ლეში ტყესა, მინ-  
 დორსა, ხევებსა და რიყეებზედ ჰყრია უპატრონოდ. მერე იცი,  
 რა გემრიელი საკმელია ადამიანის ხორცი და ან რა უკვდავე-  
 ბის შარბათია სასმელად მისი თბილი სისხლი?"

ქაბუკ ყორანს თვითონაც არა ერთხელ ექამნა თბილი  
 ხორცი და ესეა თბილი სისხლი, თუ კაცისა არა სხვა სულ-  
 დგმულისა მაინც. ამიტომ გულში უღიტინა სტუმრის საუბარმა  
 და უფრო ბეჯითად დაუწყო გამოკითხვა.

— მერე ვინ ვის დაესხა თავსა: თათარი რუსსა, რუსი  
 სომეხსა, სომეხი თათარსა, თუ ყველა ერთურთსა—რა შეიტყე?

— იმ დღეს პატარა რაზმი მიდიოდა საომრად. სთქვეს:  
 „ქართველებისაა ეგ რაზმიო“. ისინი-კი ასე მღეროდნენ:

ჩენს ძვირფასს ტურფას სამშობლოს  
 შემოესია თათარი.

გადაგვიბუგა სოფლები,  
 დაგვინიავა სახლ-კარი,  
 ამოგვიყლიტა ბაღლები  
 და შეურაცხყო ქალ-რძალი.  
 წაგვართვა დედულ-მამული  
 და შეგვიგინა ტაძარი.

ბაგეზედ კლიტე დაგვადვა,  
 ხელ-ფეხზედ ჯაქვი მაგარი.  
 ვაეებო, ომში წავიდეთ,  
 ტანზედ ავისხათ აბჯარი.  
 ავაბათ ერთობის ღროშა,  
 მტერს გულში ჩავეცეთ ხანჯარი.  
 ბრძოლა უწყალო მტერთანა,  
 ბრძოლა სასტიკი, მელგარი!  
 წავიდეთ, ძმებო, სისხლითა  
 მოვრწყოთ სამშობლოს მთა-ბარი!



ჩვენის მამულის გულისთვის  
 სჯობია სისხლი დავეღაროთ,  
 სანამ წყეულის მონობის  
 კისრით უღელი ვა ზაროთ.  
 კმარა ამდენი მოთმენა,  
 კმარა ამდენი სირცხვილი!  
 ვირის ბაგაზედ გღებასა  
 ომში სჯობია სიკვდილი“.

— მაშ, თათრები შემოჰსევნიან საქართველოს, არა?

— ჰო და მერე რაღა გინდა?

— და იმათ აიკლეს საქართველო?

— დიად, ხალხი დახოცეს, სოფლები და ქალაქები გა-  
 ცარცვეს, დასწვეს. რაც გაღურჩათ, ის კიდევ ჩვენ მოუხმე-  
 რედ *ვიზიტის მანქანა. იმათ იქნა მტერი ანკარი!*

— რას უფრო ჰნიაზობდით საშოვრად, ან შესაძენად?

— ყველაფერს კაცის სისხლი და ხორცი გვერჩივნა. იმას  
 რა საშოვარი უნდა შეეღაროს? შენ-კი არ გიქამნია ადამიან-  
 ნის ხორცი, ან სისხლი არ გისვამს?

— მე სადა ვქამდი და ვსვამდი? გამიგონია-კი, იმისთანა  
 საქმელი და სასმელი სხვა არ მოიპოვებო.

— გაგიგონია და რაღას უცდი? ხვალ-ზევით ისევ ბარი-  
 სკენ დავეშვები და გამომყე, ჰნახავ, რა მადლი და სიამოვ-  
 ნება აქვს ბრძოლის ველს და ადამიანის ადამიანზედ გამარ-  
 ჯვებას. შენ იქ მოწყენამდე გექმნება ბავშვის, ქალის, დიდისა  
 და პატარის ხორცი. დავთვრებით თბილისის სისხლით, დავძლე-  
 ბით ხორციით და მერე მდინარეებისა და წყაროებისაკენ გავი-  
 სერიებთ საბანაოდ. იცი, რა ედემის სიამოვნებაა?!

სტუმარმა, ადამიანის სისხლ-ხორცის მოტრფიალემ, ყო-  
 რანსაც კაცის ხორცის ჯამის და სისხლის სმის ეინი აუშალა.  
 ისინი შეჰპირდენ, ამ ორ დღეში აქაც ერთად ყოფილიყვნენ  
 და მერე ბარისაკენაც ერთად გამგზავრებულყვნენ.



ამსობაში სადილობა მოვიდა და სტუმარ-მასპინძელს კიდევ მოჰშივდათ. იქვე არყის ქვეშ ყაჯრისგან ტაცებული და გაგლეჯილი ბატკანი ეგდო. მასპინძელმა სტუმარი იქ ჩაიწვია. დასხდნენ ყორნები ერთად და ჰამა დაუწყეს. ამ დროს ყორნებს ახლო მონადირე შეჰჩაათ. განთიადზედ მონადირე კლდეებში სანადროდ ამოვიდა და ფსიტებს შეჰხვდა. ისინი ერთად თხუთმეტამდე იქმნებოდნენ: ზოგი რქიანი ვაცუნები იყო, ზოგი თხა ურქო დედალი ფსიტი იყო, თან პატარა, იმ წლის კრელი თიქნები ეტანათ. როცა ფსიტის ბოლიქი ბალახით დაძღა და მზეც ამოვიდა, მიუვალს და მოფარებულ ადგილას შედგა. აქ ზოგი დადგა, ზოგი დაწვა და ცოხნით მოსვენებას მიეცა. თიქნებმა-კი დიდხანს არ დაისვენეს და მოჰყვნენ თამაშობას: კუნტრუშობდნენ, დაბლიდამ მაღლა და მაღლიდამ ძირს — კინკუხიდან კინკუხზედ ჰხტებოდნენ, ურთიერთს ჰჩიგავდნენ უკანა ფეხებზედ შემდგარები. ხან სიმაგრიდამ ისევ ველად მწვანე ბალახში გაინავარდებდნენ და ისე მოსჩანდნენ მაშინ, როგორც თეთრი ქაფი და ქვერი მწვანე ზღვაში. ბოლოს თიქნებსაც მოსწყინდათ ქიჩაობა, ესენიც მივიდნენ და მიუწვნენ დიდებს გვერდით. მონადირე ხერხად იყო და ის იყო თოფი გაუწოდა ფსიტებს სასროლად, რომ ამ დროს ყორნებს თვალი შეასწრო, იმათს ლაპარაკს ყური მოჰკრა; თოფი ისევ ჩამოიღო, თავის ახლოს კლდეზე მიაყუდა და მათი ლაპარაკი ბოლომდე მოისმინა. როდესაც ყორნებმა სასაუბრო გაათავეს და ლეშზედ სადილად დასხდნენ, მონადირემ სთქვა: „ნეტავი რა დამიშავეს ამ საწყალმა ფსიტებმა, რომ დახოცას უპირობ? რას მიხდენენ ან მე, ან სხვას? ზამთარსა და ზაფხულში საცოდავები ამ ულრან ადგილებში ჰყრიან: აქ იბადებიან და აქ იხოცებიან. მხოლოდ მთა და ტყე ჰზრუნავს მთავათვის, სხვა არაფერ. ზა-

\* ) ყაჯრ — დიდი თავთეთრი არწივია მთ-სა. იტაცებს ბატკნებს და თიქნებს ჯიჯიასს, ფსიტისას, შველისას და სხვა ნადირისას და იჭერს კურდღელსაც.



ფხულობით დალოცვილები ლალიან ბაღას სთავაზობენ<sup>\*)</sup> და ზამთრის თოვლ-ბუქში მწვანე ბარძამ-მაყელით<sup>\*\*)</sup> და მშვენიერ ქუჩ-ლეღით უმასპინძლებიან ერთმანეთს, გაკირვებაში კიდე ჰმალვენ თავს უბე კალთაში. რა ჰრჩება მაგათ ჩვენი, მაგრამ ჩვენ ადამიანები-კი არ ვასვენებთ მაგ ბეჩაებს. როცა სიმშილ-წყურვილის დროს მთა და ტყე მაგათ უბე-კალთით საზრდოს ჰთავაზობს და ეგენიც ჩამოსართმევად მზადდებიან; ან როცა დედა-შვილურად კლდის, ან ხის გულთან მიჩუგვილებს თავისთვის სძინავთ, მაშინ უცებ ჩემი თოფი ვარდება და გულგანგმირულ ნადირს იმავე წუთს ზედ ვაზივარ გასატყავებლად. ყოველი ცისმარე დღე-ღამე თავის სიცოცხლეში შიშ-ელღით გაატარა: ჩემის შიშით ქამა-სმაც ჩამწარებული ჰქონდა, ძილი და მოსვენებაც და ბოლოს მინც ვერ მოჰრჩა ჩემს ხელსა! არა, უსამართლობაა, ეს ასე არ უნდა იყოს. მეც იგივე ყორანი არა ვარ, მაშ, სხვა რა ვარ?

დასახოცები ეგ უწყინარი და მშვიდი ნადირები-კი არ არიან, არამედ აგერ ის ყორნებია, ის წყეულ-შეჩვენებულეები<sup>\*\*)</sup>.

მონადირემ ყორნებისკენ გაიხედა: ისინი ლეშზედ გვერდის-გვერდ ისხდნენ მიხედვით. მონადირემ თოფი აიღო და ესროლა. ორისავე ყორნის ნაფლეთები კლდის პირს გადაეკიდა ქვევით ბამბაძველასავით.<sup>\*)</sup> თოფის ხმა მეხად მოჰხვდა იქაურობას: ათასგან გავარდა, ათასგან გაუხმო, შესძრა, აახმაურა მთა და კიუხი<sup>\*\*)</sup>; ფსიტის ხროს ელდა ეცა და აშლილმა სტვენით წინა-უკან გაირბინა და გადაეფარა კლდიან, ქანჩახიან<sup>\*\*)</sup> გორის იქით.

მონადირემ თოფი მხარ-ილლივ გადიკიდა და წავიდა შინ; თან ლილინებდა:

\*) ბამბა-ძველა— ბამბეულის ძონძი.

\*) კიუხი— ერთთავად კლდით შემოსილი მთა-მწვერვალი.

\*\*) ქანჩახი— ოღრო ჩაღრო კლდე.



არ მოვკლავ ფსიტსა, არც ჯიხვსა,  
 არც თიქნებს დაუტყაფებო,  
 მაგრამ მგელსა და ყორანსა,  
 შევხვდეთ, არ დაეიზავებო.\*)  
 გულო, არ მიგცემ საგონსა,  
 თაფო, არ დავაშავებო;  
 მტერო, არ შეგიშინდები,  
 ფრანგულო, გაგაფხავებო.  
 კაი მსროლელი თოფი მაქვს,  
 გაფაძვრენ ბეჭედშიაო;  
 მტერს ვესერი, იმედიცა მაქვს,  
 მოვართყამ ბეჭებშიაო.  
 ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები,  
 ერთხელ ვატირებ დედასა.  
 სკირდეს და თავი დაზოგოს  
 კაცმა, რა უთხრა იმასა!  
 ცოცხლებში გამოერჩიოს,\*\*)  
 ვერც გახდეს ბეწვის ხიდასა\*\*\*)

ბაჩანა



\* ) არ დაეიზავებ—არ დაეინდობ, არ დაეზოგავ მოსაკლავად.

\*\* ) „ცოცხლებში გამოერჩიოს“—უსახელოდ მოკვდეს.

\*\*\* ) „ვერც გახდეს ბეწვის ხიდასა“—სამოთხეში ჩუ შევიდეს, სულით  
 წაწყმდეს.



## ს ი ფ ლ ა დ

ველად დაჰქრის ნიაფ-ქარი,  
 მთა ბურუსით იმოსება,  
 ჰაერს ნისლი ჩამოაწვა  
 და სინათლე ნელ-ნელ ჰქრება.

წელან რა რიგ დარი იყო:—  
 ლაქვარდი ცა კაშკაშებდა,  
 ზე-აღმტაცის სიამითა  
 სულს ატკობდა, გულს ავსებდა!

— ცაო, ცაო, შე პირ-შავო,  
 ვით ვერაგის კაცის გული,  
 რისთვისა ხარ მოღუშული,  
 რისთვისა ხარ მოღრუბლული?!

გვამან

რას უქადი ჩვენს ცხოვრებას,  
 ჩვენს ნაშრომს და ჩვენს კარნახულს?  
 რას უქადი ჩვენს სიცოცხლეს,  
 სევდით მოცულ ჩვენს სულს და გულს?!

ცაო, ცაო, გადიდარე,  
 აგვაშორე სეტყვა, ქარი;  
 აგვაშორე ელვა-მეხი;  
 აგვაშორე ნიაელვარი!


ჩვენ ისედაც ტანჯულნი ვართ!..  
 ცაო, ცაო, შეგვიბრაღე,—  
 მოჰხედე ჩვენს ბედ-შავობას,  
 თვალზე ცრემლი შეგვიშროღე!...

ველად დაჰქრის ნიავ-ქარი,  
 მთა ბურუსით იშოსება,  
 ჰაერს ნისლი ჩამოაწევა  
 და სინათლე ნელ-ნელა ჰქრება.

ქართული  
 ზღაპრებისა

ბ. ახოსპირელი





## ფუტკარი და მისი ცხოვრება

(შემდეგი \*)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა  
და სხვა გვარად მოღვაწეო:  
ზევის მუშას შეკახაბნ,  
არ ვარ შარტო სამიწეო.

აკაკი.

(უძღვნი ბუნტკუნჩელა გოგი ვარლამისძეს კიკინაძეს)



ინა საუბრებიდან გავიგეთ, ჩემო მეგობრებო, თუ რა არის ფუტკარი, ვისგან და როგორ იჩიკება და სხვა. ახლა, თავს თუ არ მოგაბეზრებთ, მსურს გავაცნოთ მუშა ფუტკარის საქმიანობა; მინდა თქვენც იცოდეთ, თუ რაოდენი შრომა შეუძლია ამ პაწია მწერს. მუშა ფუტკარი ისეთი რამ არის ფუტკარის მთელის საზოგადოებისათვის, რაც კაცობრიობისათვის მუშა ხალხი. ვის მოჰყავს პური, ქაღი, ღომი, ღვინო? მუშას, მშრომელ კაცს. ვინ აკეთებს სახლს, სკოლას, საყდარს? — მუშა. ოსტატი. ვის გაჰყავს გზები, ხიდები, სარწყავი არხები? — მუშას. ვინ გვიშადებს ტანისამოსს? — მუშა. ვინ გვიშადებს საზამთრო შეშას — მუშა. სიკვდილს შემდეგ ვინ გვიკეთებს კუბოს, ვინ უნდა მიგვიტანოს სასაფლაოზე, ვინ უნდა გავგიჟკრას სამარე, ვინ უნდა მოგვაყაროს მიწა? კიდევ მუშამ. ერთის სიტყვით, რა მხრითაც მიმოიხედოთ, რაც უნდა დაინახოთ, ყოველივე

\*) იხილეთ „ნაკადული“ № 4.

მუშის მაღლიან მარჯვენის ნამოკმედარია. და სწორედ მუშა ფუტკრის საქმეც — იმ პაწია მწერისა. — მუშა ფუტკრის ცხოვრება ძრიელ ბევრ მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ როგორი უნდა იყოს მუშა, როგორ უნდა შრომობდეს ადამიანი და როგორ უნდა უვლიდეს თავის ნაშრომს. რასაც-კი სკაში ვხედავთ, რასაც-კი ფუტკრისაგან ვსარგებლობთ, ეს ყველაფერი მუშა ფუტკრის წყალობაა, მის გამუდმებულ ოსტატურ შრომის ნაყოფია. მე მინდოდა თვითონ ამეწერა მათი შრომა, მაგრამ „მათი მათებრ არვინ იცის დასაქირი, დასალხინი.“ მაშ, მოდი ისევ ამ გინგლიან მუშა ფუტკარსა ვსთხოვოთ, გვიამბოს თავისი თავ-გადასავალი.



— გეთაყვა, გინგლიანო მშრომელო, ცოტა ხნით დაისვენე და მოგვიყვე, რას ფუსფუსებთ, რა ყოფაში ხართ, რას აკეთებთ, რა ამბავი გაქვთ შხის ამოსვლადგან ჩასვლამდე რომ მიფრინ-მოფრინავთ.

— ნეტავი თქვენ, რომ სამსლიათოდ მოგიცლიათ! ჩვენ სახარებაში დასვენება არ გვიწერია. სადა მაქვს სათქვენო დრო? მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, ჯან-ლონით სავსე, უნდა ვიშრომო, თუ მაინცა და მაინც გინდათ, ჩვენი ამბავი გაიგოთ (კარგსაც ინებებთ, მე და ჩემმა ღმერთმა, იქნებ მოგვბაძოთ და თქვენც ჩვენსავით იქირნახულოთ), აი, ჩვენი ბატონი, მუქთა ხორა მამალი მოგახსენებთ—მეხი კი დაეცეს თავში—კამისა და ყბედობის მეტი არა შეუძლიან-რა. უკაცრავად, ბოდის არ ვიხდი, ისეც ბევრი დრო დამაკარგვინეთ.

ჰხედავთ, ყმაწვილებო, მუშა ფუტკარმა იმდენი დროც ვერ იშოვნა, ეაშინა ჩვენთვის თავისი ამბავი, თავისი მოქმედება გაეცნო; არა ჰგავს ჩვენებიანთ კოტეს, ერთი ბეწო თუ რვეულში სწერა, ან წიგნი იკითხა, მაშინვე კენესას მოჰყვება, დედი, დედი, დავილაღე, ქვეყნის საქმე გავაკეთე, ახლა დასვენება მინდაო.



მეტი ჯანი არ არის, ისევ მამალ ფუტკარსა გვიამბობს, რაც იცის, მაგრამ ეს კი წინაღვე იცოდნენ, ყმა-წვილებო მამლებს, როგორც უწრომელ ხალხს მწრომელები, ძლიერ სძულს მუშა ფუტკარი. ეხლავ მოგვიყვება მუშების გინებას.

— შენ, ეი, ვაებატონო, რა უშნოდ ბზუი ბობ ხმაზე, ან გარედ რას დაეხეტები? გეტყობა მოკლილი ყოფილხარ, მოდი, ჩემო ბიძია, მოგვიყევ „ამბავი ტარიელისა“, რას აკეთებენ სკაში? ვინ როგორ ირჯება?



მამალი ფუტკარი მამალ ინდოურივით აიფხორა, უჯარო გენერალივით გაიბერა და ბოხის ხმით დაიწყო:

— რაღა ამბისა მცხელა, სიმშლით კუჭი შეწვის. კარგი მოუვადეთ მუშა ფუტკრებს, კარგი სტუმართ-მოყვარე ისინი იყვნენ! გაწყდეს იმათი სინსილა! აქაო და მინდორში სათაფლო ყვავილები არ ჰყვავისო, თაფლს ველარ ვშოულობთო, ადგნენ და გარედ გამოგვყარეს, მუქთა ზორები ხართ, არაფერს აკეთებთო, ოთხის ოდენასა სჭამთო. მე რას დავეძებ, თუ მინდორში თაფლს ვერ იშოვნიან. განა ცოტა აქვთ გადაბეჭდილი თეთრი სარაჯები, (პურები) საკუქნაოში დამზადებული?! უჰ, უჰ! რომ გაპახსენდა, პირში ნერწყვი მომივიდა. აქვთ, მაგრამ პურაძვირები არიან, ჩვენთვის არ ემეტებათ. მეტის მეტი იციან, უნკროსი არ გააჩნიათ და უფროსი. ჩვენ კი არა, ამას წინად თავიანთი მშობელი დედა-ფუტკარი მოჰკლეს და გარედ გაათრიეს, მერე რისთვის? იმათ რომ ჰკითხო, იმისთვის, რომ ის ახლა ბევრ კვერცხებს ველარ სდებდა. რასაც სდებდა, იმისაგანაც თურმე ბევრი ჩემი ძმები იჩიებოდნენ. აი ეს დაუწუნეს. ის მოჰკლეს, და მის მაგიერად ახალგაზრდა ნაყოფიერი დედა გაიჩინეს.

იკოცხლეთ, ჩვენ, მამლებს, ქეიფი გვქონდა, სანამ ის დედა ქალწული იყო! სანამ სადედოფლოდ ემზადებოდა, ჩვენც

ყველა ვკობტა-პრუწაობდით, ყველა ჩვენთაგანი მეფობას ელოდა. ვინ გვიწოდებდა ქამას? მადის გასაღვიძებლად ნაშუადღევს, გრილი სიო რომ დაიწყებდა შემოქიჩინებას, მზიარულ ბზულით სკიდგან გამოვფრინდებოდით სუფთა ჰაერზე სასიერნოდ. ერთად ერთი ჩვენი საქმე იყო ქალწულ დედასთან ღლაბუცი და კოპწიაობა. ერთ მშვენიერ მზიან დღეს, ნაშუადღევს, ქალწული დედა სკიდგან გამობრძანდა. ჩვენც, მამლებმა, ერთხმად მზიარულად შემოვძახეთ მაყრული და ვიახელით.

ჰერი, ბიკო! აბა, ვინ ვის აჯობებს! დაეწყეთ კობტაობა; ყველა ვცდილობდით, დედოფალს მოვსწონებოდით, ბოხის ხმით ვმღეროდით, ჰაერში ყირამალა გადავდიოდით. დედოფალიც ეშხზე იყო, მაგრამ ინაზებოდა, კეკლუცობდა. ან კი რატომ არ გავიდოდა თავს?! სადედოფლო მხოლოდ ის ერთი იყო, სამეფო-კი რატომ ათასი არ ვიქნებოდით. კარგა ხნის სეირნობა-ღლაბუცის შემდეგ, როგორც იყო, დედოფალმა აირჩია სამეფო, თვალი ჩაუკრა და იქვე ჰაერში იქორწინა მასთან. ჩვენ-კი შერცხვენილი, თავლაფ-დასხმული სამგლოვიარო მარშით დავბრუნდით სკაში. მართალია, ის მამალი, რომელსაც წუთიერი მეფობა ერგო, მეტის მეტის სიამოვნებით იქვე მოკვდა, მაგრამ მაინც ბედნიერია. ჩვენ-კი სიმშვილით სიკვდილი მოგველის რადგან ახლა მუშა ფუტკარისთვის გამოსადეგი აღარა ვართ. ის ოხერი დედაც ახირებულია! ამოდენა კვერცხებს სდებს, დაპებვლა-კი მთელ მის სიკოცხლეში, თუ გინდა 4 ნ წილიწადი იკოცხლოს, იმ ერთის მეტი არ სჭირია ქე არის შერმედ ისე ქვრივად.

ჰოდა, დავბრუნდით თუ არა სკაში, ლონივრად მივაძეხით მუშების მიერ დამზადებულ თაფლს — ასე ვძღვებოდით რამდენსავე ხანს სხვის მონაგარით, მაგრამ, როცა ახალგაზდა დედამ კვერცხის\*დება დაიწყო, მუშებმაც გული საგულეს იგრძნეს და აღმაცერად დავვიწყეს ცქერა. ჩვენდა საუბედუროდ, მინდორშიც იკლო ყვაილებმა, ადგნენ და ჩვენც კინწის კვრით გარედ გამოგვეყარეს, სკის საფრენთან-კი მცველი დააყენეს — არ შემოგვპაროთ ეგ მუქთა ხორებიო



გაგონილა, გეთაყვა, ასეთი მოურიდებლობა? ჩვენა ვართ, ახოვნება მათზე უკეთესი გვაქვს და აბა, რა იყო ჩვენი კვება, მაგრამ იმ ოხრებს აუხიბრებიათ რა-ღაც ერთი ანდაზა „ნაშრომი მშრომელსაო“ და სულ იმას გაიძახიან; ვინც არ შრომობს, იმას ერთ წვეთ თაფლს არ აქმევენ. არამც თუ ჩვენ, თავიანთ დების დანდობაც არ იციან; როცა მუშა ფუტკარი მოხუცდება, ან უცაბედად შრომაში დასახიჩრდება, იმასაც კი გარედ აგდებენ. „სიცოცხლე მხოლოდ, მშრომელსაო. ვინც არ შრომობს, სიკვდილი იმასაო“. აგრე ამბობენ და კიდევ ასრულებენ.

— ეჰ, მამალო, მამალო! მაშ, როგორ გნებავდა? შენ მხარეთმცოდნე წამოწვე, არაფერი გააკეთო და სხვები გარჩენდნენ—ტყუილი ფიქრია, ბიძია! მაგრამ შენ სულ შენს გოდებას მოუნდი. შენ ის გვითხარი, თვითონ მუშა ფუტკრები რას აკეთებენ, როგორი გამრჯელობა აქვთ?

— აბა, რა უნდა გითხრათ, რამდენი ერთი ჩამოგითვალათ! შეიხედეთ სკაში და, რასაც იქ ჰხედავთ, სულ მაგ მოუსვენრების ნამოქმედარია—დიდი შრომა აქვთ, ცოდოს ვერ ვიტყვი, ძრიელ მშრომელი ხალხიც არის: ეს ფიჭა გააკეთე, თაფლი შეაგროვე, წყალი მოიტანე. მატლებისათვის ყვავილების მტვერი მოაგროვე, ჭუჭრუტანები დინდგილით კარგად გაგლისე, რომ სიცივე ან ქურდი არ შემოგეპაროს, საკვერცხეები გასწმინდე, სკა დაასუფთავე. ქალბატონ დედას კარგი თაფლი მიართვი, პატარა ქიებს ფაფა შეუშაბდე და ჩამოურიგე, ქიებს და კვერცხებს კრუხივით დააჯექი და სიცივისაგან დაიფარე, სიცხეში ფრთების ქნევით სკაში პაერი გააგრილე, რომ ფიქები არ ჩამოცვიდეს... რაღა ბევრი გავაჭრელო, დღევ მუშაობენ და ღამეც მასთან ჭკუიანი მოხერხებული ოსტატებიც არიან. მაგრამ მე მაინც ვემბლური, მეტი არაქათი აღარა მაქვს! აფსუსი არ არის, ჩემი შალაკეთილშობილება ახლა გარედ ეგდოს და სიმშვილით სიკვდილს ელოდეს!...

აბ. წულაძე


(შემდეგი იქნება)



## შვილი ვარსკვლავისა

რსკარ უაილდის ზღაპარი

(დასასრული\*)



ეორე დღეს მოხუცი, მთელს ლილიაში უდიდეს მოგვად მიჩნეული და მოგვობაში გაწურთვნილი ერთის კაცისაგან, რომელიც ნილოსის ნაპირად მღვიმეში სცხოვრობდა, შევიდა საპურობილეში და მრისხანედ უთხრა:

— ტყეში, რომელიც ამ გიაურთა ქალაქის ახლო არის, მეგულება სამი ოქროს ფული:—ერთი თეთრის ოქროსი, მეორე—ყვითლისა და მესამე—წითლისა. დღეს შენ უნდა მომიტანო თეთრი ოქროს ფული, თუ არა და ასი წკებლა მოგხვდება ჩემგან. მაშ, წადი ჩქარა და მზის ჩასვლისას მოგელოდები ბალის კარებთან. გახსოვდეს, რომ უნდა მომიტანო თეთრი ოქროს ფული, თუ არა და ცუდი საქმე მოგივა, —ნუ დაივიწყებ, შენ ჩემი მონა ხარ, ერთ თას ღვინოდ ნაყიდი. —და აუხვია თვალები ვარსკვლავის შვილს აბრეშუმის ყელსახვევით, გაიყვანა სახლიდან ყაყაჩოვებ შორის ხუთ-ხუთი ბრინჯაოს საფეხურებით. გაალო თავის ბეჭედით პატარა კარები და გაუშვა ვარსკვლავს შვილი კარში.

ვარსკვლავის შვილი გამოვიდა ქალაქიდან და იმ ტყისაკენ მისცა თავი, რომელიც უთხრა მოგვმა. გარედან ეს ტყე

\*) იხილე «ნაკადული» № 6.



მოსჩანდა მშვენივრად, მგალობელ ჩიტებისა და სუნუნტოფოფი ყვავილთა სავანედ, და ვარსკვლავის შვილმა სიამოვნებით შეჰქრო შიგ თავი. მაგრამ ეს სიამოვნება მალე მწუხარებად გადაქცა: საცა ფეხს დაადგამდა, ყოველგან ძეძვნარი ჩნდებოდა და ეკალი ჩხვლეტდა, მწვავე კინკარი სუსხავდა, ეკალ-ნარი გაზებს აკაწვრიდა; წვალობდა მწარედ. მხოლოდ თეთრი ოქროს ფული-კი არსად იყო, თუმცა საცოდავი ეძებდა დილიდან შუადღემდე და შუადღიდან მზის ჩასვლამდე. როცა მზე ჩავსვენა, გულ ამოსკნით ატირდა და გასწია შინისკენ, სადაც კარგს არას მოელოდა.

როცა ტყის განაპირას მიახწია, ტყის შუა გულიდან შემოსმა ვილასიც გამწარებული ძაბილი. ვარსკვლავის შვილმა დაივიწყა თავისი დარდი, დაბრუნდა უკან და დაინახა მახეში გაბმული პატარა კურდღელი.

ვარსკვლავის შვილმა შეიბრაღა კურდღელი, გაათავისუფლა და უთხრა:

— თუმცა მე თითონ მონა ვარ, მაგრამ შენთვის თავისუფლების მონიჭება მაინც შემიძლიან.

— დიად, შენ მე მომანიჭე თავისუფლება, მაგრამ რითი უნდა გადაგიხადო ეგ სიკეთე?— უპასუხა კურდღელმა.

— დავეძებ თეთრ ოქროს ფულს, — უთხრა ვარსკვლავის შვილმა, — და ვერსად ვერ მიპოვნია. თუ ხელცარიელი დაებრუნდი სახლში, ჩემი ბატონი უმოწყალოდა მცემს.

— წამომევე, — უთხრა კურდღელმა, — მე განახვებ, რასაც ეძებ, ვიცი, საცა დევს და რა სამსახურსაც გაგიწევს.

ვარსკვლავის შვილი დაედევნა კურდღელს და ერთის დიდის მუხის ფულუროში დაინახა თეთრი ოქროს ფული, რომელსაც ეძებდა. სიხარულით დაავლო ხელი ფულს და უთხრა კურდღელს: — დიდად დამიფასე სამსახური და ჩემის გულკეთილობისათვის ერთი ასად მომიძღვენ!

— არა, — მიუგო კურდღელმა, — მეც ისე მოგეჭეცი შენ,



როგორც შენ მე და კურდღელი გაიქცა. ვარსკვლავის მგზავრა ქალაქისაკენ.

ქალაქის ბკის კართან იჯდა კეთროვანი. სახეზე ნაც-რისფერ ტილოს ყაბალახი ეფარა და თვალებისათვის ამოკ-რილ ჭუჭრუტანებიდგან გამოსკვიოდენ ნაკვერჩხალივით აღ-გზნებული თვალეები. შეჰხედა თუ არა ვარსკვლავის შეილს კეთროვანმა, დაჰკრა ხის ჯამს, ჩამოჰკრა პატარა ზარს და წაი-ბუტბუტა:

— მომე ეგ ფული, თორემ შიმშილით სიკვდილი მომე-ლის. ქალაქიდან გამომამძევეს და ჩემი შემბრალებელი არავინ არ არის.

— ვაი რომ ჩემს ქრსაში მხოლოდ ერთი ფულია, — წამოიძხა ვასკვლავის შეილმა, — და ისიც თუ ჩემ ბატონს არ წაუღე, მცემს: იმისი მონა ვარ.

ხოლო კეთროვანი ემუდარებოდა და ევედრებოდა იქამ-დე, სანამ ვარსკვლავის შეილმა არ შეიბრალა და არ მისცა თეთრი ოქროს ფული.

როცა დაბრუნდა მოგვის სახლში, იმან კარები გაუღო, შეუშვა სახლში და ჰკითხა:

— რა უყავ თეთრი ოქროს ფული?

ვარსკვლავის შეილმა მიუგო:

— მე ფული არა მაქვს. — მაშინ მოგვმა სტაცა ხელი და ცემა დაუწყო; შემდეგ დაუდგა წინ ცარიელი პატარა მაგიდა და უთხრა: — სქამე, — ცარიელი თასი და უთხრა: სვი, — და ხელახლა ჩააგდო საპრობილეში.

დილით შევიდა მოგვი და უთხრა: — თუ დღეს არ მო-გიტანია ჩემთვის ყვითელი ოქროს ფული, იცოდე, დაგსჯი და განახეებ, რა არის ჩემი მონობა: სამას წკვლას დაგკრავ.

ვარსკვლავის შეილი გაემგზავრა ტყისაკენ და მთელი დღე დაეძებდა ყვითელ ოქროს ფულს, მაგრამ ვერსად იპოვნა. სალამოს ეამს დაჯდა ძირს დედამიწაზედ და დაიწყო ტირილი,



ტიროდა მანამდე, სანამ არ მიირბინა მასთან პატარა კურდღელმა, რომელიც წინა დღით გაათავისუფლა.

— რას სტირი და რას დაეძებ ტყეში?—ჰკითხა კურდღელმა. ვარსკვლავის შვილმა მიუგო:

— ვეძებ აქ დაფლულ ყვითელ ოქროს ფულს. თუ ვერ მოვნახე, ჩემი ბატონი მცემს და ისე მომეპყრობა, როგორც თავის მონას.

— წამოწყევ, — უთხრა კურდღელმა და გაიქცა ტყეში წყაროსაკენ. წყაროს ძირში იდგა ყვითელი ოქროს ფული.

— როგორ დაგიმადლო?!—წამოიძახა ვარსკვლავის შვილმა, — ეს მეორედ მიხსნი გასაჭირისაგან.

— არა, უწინ შენ შემიბრალე, — მიუგო კურდღელმა და წაქუნცულდა.

ვარსკვლავის შვილმა აიღო ყვითელი ოქროს ფული, ჩაიდო ქისაში და გამოეჩქარა ქალაქისაკენ. მაგრამ კეთროვანმა დაინახა და მიაძახა: — მომე ფული, თორემ შიმშილით მოვკვდები.

ვარსკვლავის შვილმა მიუგო: — ჩემს ქისაში მხოლოდ ერთი ყვითელი ოქროს ფულია, და თუ ჩემს ბატონს არ მივართვი, მცემს და ისე მომექცევა, როგორც თავის მონას.

ხოლო კეთროვანი მხურვალედ ევედრებოდა და იმანაც შეიბრალა და მისცა ყვითელი ოქროს ფული.

როცა დაბრუნდა მოგვის სახლში, მან გაუღო კარი, შეუშვა სახლში და ჰკითხა:

— ყვითელი ოქროს ფული სადღაა?

— არა მაქვს, — მიუგო ვარსკვლავის შვილმა.

ეცა მოგვი და დაუწყო ცემა; შემდეგ გაუყარა ფეხებში ბორკილი და ხელახლა ჩააგდო საპყრობილეში. დღით მოგვი შევიდა მასთან და უთხრა: — თუ დღეს მოიტან ჩემთვის წითელ ოქროს ფულს, გაგათავისუფლებ მონობისაგან და, თუ არა, იცოდე, მოგკლავ.



და აი ვარსკვლავის შვილი ხელ-ახლა გაემგზავრა ტყეში, მთელი დღე ეძებდა წითელ ოქროს ფულს, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა. საღამოს დაჯდა დედამიწაზე და დაიწყო ტირილი; ხელახლად მოიბრინა პატარა კურდღელმა.

— წითელი ოქროს ფული, რომელსაც შენ ეძებ, შენს უკანაა, გვირაბში. ტირილს თავი დაანებე, იმხიარულე, — უთხრა კურდღელმა.

— როგორ გადაგიხადო ასეთი სიკეთე! — წამოიძახა ვარსკვლავის შვილმა, — აი ეს მესამედ მიხსნი განსაცდელისაგან.

— არა, პირველმა შენ შემიბრალე, — სთქვა კურდღელმა და საჩქაროდ გაიქცა.

ვარსკვლავის ძე შევიდა გვირაბში და შორს კუთხეში იპოვა წითელი ოქროს ფული. ჩაიდო ქისაში და წავიდა ქალაქისაკენ. კეთროვანმა დაინახა, გადადგა გზაზე და ხმა მალლა ჰყვიროდა:

— მომე წითელი ოქროს ფული, თორემ შიმშილი მომკლავს. — ვარსკვლავის შვილმა კვლავ შეიბრალა, გადასცა წითელი ოქროს ფული და უთხრა: — შენი გასაკირი ჩემსაზე უარესია. თითონ-კი ძალიან გულჯავრიანი იყო: იცოდა, რაც მოელოდა.

და აი, როცა მიატანა ქალაქის კარებს, დარაჯები მიესალმნენ, პატივისცეს და ამბობდნენ:

— რა მშვენიერია ჩვენი ბატონი! — და მოქალაქეთა გუნდი მისდევდა მას და იძახოდა: — მთელ დედამიწაზე არ მოიძებნება ამაზე უმშვენიერესი! — ვარსკვლავის ძეს თვალები ცრემლებით ევსებოდა, ჰფიქრობდა: — დამკინიან, სასაცილოდ იგდებენ ჩემს უბედურობასაო.

ხალხის გროვამ იმოდნად იმატა, რომ ვარსკვლავის შვილმა გზა დაჰკარგა და ბოლოს დიდ მოედანზე ამოჰყო თავი, საცა მეფის სასახლე იდგა. სასახლის კარები გაიღო და შემოევგებენ მღვდლები და ქალაქის უწარჩილებულესნი საღმის მისაცემად; ჭედი მოიხარეს მის წინაშე და სთქვეს:



— შენა ხარ ჩვენი ბატონი, რომელსაც მოყვარულად  
შენა ხარ ჩვენი მეფის შვილი. — მაგრამ ვარსკვლავის სე უნა-  
სუბებდა: მე მეფისა კი არა, საწყალის შვილი ვარ. ან რად  
მეუბნებით, ვითომ მშვენიერი ვარ, მე ხომ ვიცი ჩემი სიმა-  
ხინჯე. — მაშინ იმან, ვისი ბევთარიც შემკული იყო ოქროს  
ყვავილებით და რომლის მუზარადზედაც გამოხატული იყო  
ფრთიანი ლომი, ასწია ფარი და წამოიძახა: — როგორ შეგი-  
ძლიათ თქვენ, თქვენო დიდებულებავ, უარყოთ თქვენი  
სიმშვენიერე? ვარსკვლავის ძემ შეჰხედა მხედრის ბჭყვრილა  
ძვალის ბევთარს და რა ჰნახა! — იმისი სახე ისევ ისე მშვე-  
ნიერი იყო, როგორც წინად, დაჰბრუნებოდა თავისი სილა-  
მაზე: თვალებს კი ისეთი რამ შეაშინია, რაც აღრე არა ჰქონ-  
და. მღვდლებმა და წარჩინებულთ მუხლი მოიყარეს მის წი-  
ნაზე და სთქვეს: — ძველის წინასწარმეტყველებით, სწორედ  
ამ დღეს უნდა მოსულიყო ის, ვინც უნდა გვებატონოს. დეე,  
ჩვენმა ბატონმა აიღოს ეს გვირგვინი და სკიპტრა და თავის  
მართლმსაჯულობითა და მოწყალებით იმეფოს ჩვენზედ.

ხოლო მან მიუგო:

— მე არა ვარ მაგის ღირსი: უარვყავ დედა ჩემი და  
ვერ მოვისვენებ, სანამ არ ვნახავ და პატიებას არ მივიღებ.  
ამიტომ ვთხოვთ, გამიშვით, ხელახლად წავალ და მოვივლი  
დედამიწის პირსა; აქ დარჩენა არ შემიძლიან, თუნდა გვირ-  
გვინი და სკიპტრაც შემომთავაზოთ. და რა წარმოსთქვა ესა,  
გაიხედა ქუჩაში, ქალაქის კარისაკენ და, აი, ხალხში, რომე-  
ლიც შეგროვილიყო ჯარის კაცთა გარშემო, უეცრად დაი-  
ნახა მათხოვარი; ის იყო მისი დედა; მის გვერდით იდგა ის  
კეთროვანი, რომელიც ქუჩაში იჯდა.

სიხარულით აღტაცებულმა ვარსკვლავის ძემ შეჰყვირა, მივა-  
რდა დედას, დაეცა მუხლებზე მტვერში, დაჰკოცნა იარები  
თავის დედის ფეხებზედ და მოჰბანა თავის კრემლით. თავდა-  
ლუნული გულამოსკენით სტიროდა, თითქოს ეს არის, გული  
უნდა ამოვარდესო, და წარმოსთქვა:



— დედავ, მე შენ უარგყავ მაშინ, როცა სრამსავე ვიყავი დაბრმავებული. მიმიღე ახლა, ეჰმსა ჩემის დასკირებისასა. დედა, მე მძულვარებით გიყურებდი. მოიღე ჩემზე სიყვარული. მე შენ ხელი გკარი—დაიბრუნე ახლა შენი შვილი.— მაგრამ მათხოვარი არას ამბობდა.

მაშინ შოებვია კეთროვანის ფეხებს და წარმოსთქვა:

— სამჯერ შეგიბრალებ, შენ ერთხელ მაინც სთხოვე დედაჩემს, ხმა გამცეს.— მაგრამ კეთროვანიც პასუხს არ აძლევდა.

ვარსკვლავის ძე კვლავ აქვითინდა და სთქვა: დედაჩემო, ჩემი ტანჯვა აღემატება ჩემ ძალღონეს. მოიღე ჩემზე პატივება და გამისტუმრე ხელახლა ტყეში.

და მათხოვარმა დაადგა ხელი თავზე და უთხრა:— ადექ!

— ადექ!— უთხრა კეთროვანმაც, რომეომაც აგრედვე დაადგა ხელი თავზე. ვარსკვლავის ძე ადგა, შეჰხედა ორივეს და რა დაინახა? იმის წინ იდგნენ მეფე და დედოფალი.


— აი მამა შენი, რომელსაც შენ შეეწიე, უთხრა დედოფალმა.


— აი დედა შენი, რომლის ფეხებიც შენ განბანე შენის ცრემლით,— უთხრა მეფემ. და, მოეხვივნენ, რა დაჰკოცნეს, წაიყვანეს სასახლეში, შემოსეს საუცხოვო სამოსელით, დაადგეს თავზე გვირგვინი და მისცეს ხელში სკიპტრა. და დაუწყაო მან მართვა ქალაქს, რომელიც წყლის პირას იდგა, და იყო იმის მბრძანებელი, იყო სამართლიანი და მოწყალე ყველასთვის. ბოროტი მოგვი განაძევა. შეშის მკრეღს და მის ცოლს უწყალობა მრავალი ძვირფასი საჩუქარი, მათს შვილებს უბოძა დიდი ადგილები. არავის არ აპატიებდა უღმობელოებას ჩიტთა და ცხოველთა მიმართ და ყველას ასწავლიდა სიყვარულს, გულკეთილობას და სიუხვეს. ღარიბს აძლობდა და ტიტველს ჰმოსავდა. და ქვეყანაზედ სუფევდა მშვიდობა და კეთილდღეობა.



მაგრამ დიდ ხანს არ არგუნა ბედმა მეფობა: <sup>მისი ტახტი</sup> <sup>განსაცდელის</sup> <sup>ალი</sup> <sup>მეფე-</sup>  
 ჯვა ისეთი ძლიერი იყო და განსაცდელის ალი ისეთი მწვე-  
 ლი, რომ სამის წლის შემდეგ განუტევა სული. მისი მოადგი-  
 ლე კი ცუდად მეფობდა.

ივანელი





# უ რ ი ა

მაჩტეტისა.

(დასასრული\*)

V



ნივერსიტეტში რომ ვიყავით, პატარა სერბიამ ველარ გაუძლო თურქების ბატონობას და მედგრად გამოვიდა საბრძოლველად თავისუფლების მოსაპოვებისათვის. ყველა შევლადა სერბიელებს, რითაც შევდლო; თვით ლარიბი მუშებიც კი სწირავდნენ მათ თავიანთ წვლილს. ჩვენის სასწავლებლიდანაც წავიდნენ ბლომად შეგირდები სერბიელების საშველად. იმათში დათიკოც ერია. გატაცებული

მოყვასის სიყვარულით და პატარა სერბიის მამაცობით, დათიკო გრძნობდა, რომ ის, როგორც ექიმი, სასარგებლო იქნებოდა დაქრილთათვის. ბრძოლის ველზედ საქმეში გართული ქამსაც კი ივიწყებდა. არა ერთხელ მინახავს ის თავის საქმით გატაცებული; არა ერთხელ დავარდნილა მის გვერდით ტყვია, რომლისთვისაც ყურადღებაც არ მიუქცევია. ის თუ განწირული უვლიდა დაქრილ-დასისხლიანებულ ჯარის კაცთ, რასაკვირველია, რომ ყველას ჯარში გურვეისზედ ამოსდიოდა მზე და მთეარე. მის დანახვაზედ ავადმყოფი მხნევდებო-

\*) იხილე „ნაკადული“ № 6.



და, ძალ-ლონე ემატებოდა და მხიარულად ილიმეორდა, რომელიც კი დლითი დღე მწვადებოდა.

ჯარი აირ-დაირია. ცხენები, ეტლები, ხალხი, ყველა ერთმანეთს აწყდებოდა, ირვეოდა. ასობით, ათასობით ჯარისკაცი მირობოდნენ ბრძოლის ველიდან, მაგრამ შუა გზაზედ ცვივოდნენ ტყვიით განგმირულნი. ყველაზედ მამაცი და უშიშარნიც კი უკან იხევდნენ და გონება დაბნეულნი მირობოდნენ, ვინ იცის საითკენ. არაფერი არ მოქმედობდა არეულ ჯარზედ. ამ დროს მარტო დათიკო ასრულებდა სვინდისიერად საქმეს. ასობით მოჰყავდათ მასთან დაქრილნი, რომლებიც შველას თხოულობდნენ. ექიმს ორი თანაშემწე შველოდა. — ჩქარა! ჩქარა! — აჩქარებდა მათ დათიკო, თუმცა ამაზედ ჩქარა ვერა გაკეთდებოდა-რა. დაქრილებს ვეზიდებოდი დათიკოსკენ, რომლის მეგობრული ღიმილი მამხნევებდა და მაგულადებდა.

— გაიქეციო! მტერი მოდის!...— გაისმა უცებ ახლად მოსულ ასისთავის აკანკალებული ხმა. ერთ წუთს ყველანი შევდევით. თანაშემწეებმა მოჰკურცხლეს. გავყვივით ჩვენც. გულგახეთქილნი, შეშინებულნი. ირგვლივ დაქრილების კვენესატირილი ისმოდა. ზოგი ხელს გვიქერდა და გვებლაუჭებოდა, ზოგი ხალათის კალთას — „ჩვენც წაგვიყვანეთ, ჩვენც!“ — ისმოდა დაქრილთა ხვეწნა-მუღარა... ერთბაშად შევდევით და მივიხედ-მოვიხედეთ. არ ვიცოდით, რა გვექნა?

— გაიქეციო, ჩქარა, ჩქარა! — ყვიროდა ასისთავი.

— დაქრილნი? — მიუბრუნდა აკანკალებული, გაფითრებული გურვეისი. ასისთავმა მხრები შეიშმუშნა.

— გადმოდით ცხენიდან! — დაუყვირა გონზედ მოსულმა „ურიაშ“, — დაქრილებს შველა უნდა.

— მტერი? — ჩაეკითხა ასისთავი.

გადმოდით, მეთქი! — უფრო მკაცრად შესძახა დათიკომ, — შეჭხედეთ დაქრილებს, ნუ თუ არ გებრალებათ? ნუ თუ მტერს



უნდა ჩაუგდოთ ეს საცოდაენი ხელში.. არა, არ შეეძლება..  
უნდა როგორმე უშველოთ.

„ურჩის“ გამამხნეველებელმა ხმამ ყველანი გონს მოგვიყვანა. ასისთავი ცხენიღვან ჩამოხდა, და დაუწყეთ დაქრილებს ეტლებში მოთავსება, მაგრამ... საუბედუროდ, ეტლი პატარა გამოდგა. რამდენიმე კაცი კენესითა და ოხვრით თხოულობდა შველას.

— აბა, ჩქარა წადით და ერთი ეტლი კიდევ მომიყვანეთ, — მიუბრუნდა დათიკო ასისთავს.

„რასა ბოდავთ?“ — დაუყვირა ასისთავმა, უნდა გავიქცეთ.

— არ შემოძლიან, გაიგე თუ არა?... არ შემოძლიან, ვითა ექიმს და ადამიანს, მიუგო დინჯად დათიკომ.

— ეტლი საიდან მოგიყვანო?

— საიდანაც გინდა... მხოლოდ მალე!

მაგრამ ასისთავი თავისას გაიძახოდა: უნდა გავიქცეთ... უნდა გავიქცეთ!...

— თქვენ სადაც გინდათ წადით, მე-კი... მე... მე ვერ დავეტოვებ დაქრილთ. — მიუგო ურიამ. ამ სიტყვებთან ერთად დაჯდა ძირს დედა-მიწაზედ და გაშალა წითელ ჯვრიანი ღროშა. ეს იყო გამარჯვება კეთილშობილ ადამიანისა შიშზედ. ასისთავი გაწითლდა, შერცხვა. ურიამ მოაგონა მოვალეობა და მხნეობა! მსწრაფლ შეხტა ცხენზედ, მოსწია აღვირი და წარმოსთქვა. — ვეცდები, მაგრამ ამაოდ.

გაიარა ორმა წუთმა, რომელიც ორ კვირად გვეჩვენა. მე და ჩემი ამხანაგი ვყაყმანობდით, არ ვიცოდით, წავსულიყავით, თუ დავრჩენილიყავით. რალაც უხილავი ძალა გვიქერდა, გვბოკავდა. დათიკომ ეს შეგვაძინია.

— თქვენ წადით, რა გინდათ? — წაიბუტბუტა ექიმმა.

— შენ?

— მე? მე ხომ ჯარის კაცი არა ვარ. ექიმს თურქები ხელს არ მახლებენ. ვიცი, ეტლსაც ეხლავე მოიტანს ასისთავი; ეტყობა, მშიშარა არ არის.



გაისმა მტრის მოახლოების ხმა, ცხენების თქარღვლევი ხმა ამ დროს ბორცვზედ გამოჩნდა ასისთავი, რომელიც მათ მოაქენებდა.

— ჩქარა! ჩქარა! — ყვიროდა, — აჩქარდით!

ჩვენ რომ ბორცვზედ ავედით, მტერს უკვე დაეჭირა მინდორი. თოფის სროლა გახშირდა. ჩვენს გვერდზედ ტყვიას გაჰქონდა ზუზუნი. ერთი „ურიას“ მოხვდა ფეხში... წაბარბაცდა და დაეცა.

— არა უშავს რა, — გვითხრა ფერწასულმა ექიმმა და თან ფეხს ისინჯავდა.

— კრილობა სულ უბრალოა, ძვალი მთელია. ჩემს თანამშემწეებს კი სასტიკად დავსჯი. — ურიას ვერ დაევიწყებინა იმათი სამარცხენო გაქცევა.

— რადღო, — ჩაეკითხა ასისთავი.

— რად გაიქცნენ, დაკრილნი უპატრონოდ რად დასტოვეს?!

ამ სიტყვებზედ ასისთავმა ხელი ჩაიქნია.

— თუ დასჯაა, — მიუგო გულდაწყვეტილმა ასისთავმა — მინ უფროსებიდგან უნდა დაეიწყოთ — და ამ სიტყვებთან ლაზათიანად შეუკურთხა უფროსებს.

## VI

მას შემდეგ დიდხანს აღარ შევხედრივარ „ურიას“. ვიკოდი, მაზრის ექიმი იყო, გავიგე აგრედვე, რომ გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ ნ — ს, შეირთო ცოლი, ზრდიდა შვილებს და უფასოდ სწამლობდა საწყალ ხალხს. ხალხი თაყვანს სცემდა თავის ექიმს, რაც სხვა ექიმებს არ მოსწონდათ.

მარიამობისთვის იდგა. ტელეგრამა მივიღე, მატყობინებდნენ, შენი ერთად ერთი საუკეთესო მეგობარი ცოფიანმა ძაღლმა დაჭლიჯა, მიპყავთ ქალაქ ნ — ს საავადმყოფოში, სადაც ექიმათ „ურია“ არისო. დაუყოვნებლივ წავედი ნ — ს და შევედი პირდაპირ საავადმყოფოში. ექიმი ჯერ არ მოსუ-





გრძნობით, სიყვარულით, მადლობით და რაღაც გამოუჩინებელი  
ველის მწუხარებით უცქეროდა კეთილ „ურიას“.

— გააღე პირი, გააღე პირი! — ემუდარებოდა „ურია“ ავად-  
მყოფს, რომ გამოეწმინდა პირი, და ექიმმა დაუწყა კბილებსა  
და ღრძილებს გამოწმენდა. დიდ ხანს მწუხარებით უცქეროდა  
ექიმს საწყალი და ერთბაშად მშვენიერ, გონივრულ თვალე-  
ბიდან მდულარე ცრემლი გადმოსცვივდა. ხან-და-ხან მთელი  
მისი არსება კიდევ აკანკალდებოდა ხოლმე, მაგრამ „ურიას“  
გამამხნევაბელ ხმის გაგონებაზედ მაშინვე მშვიდდებოდა.  
ოჰ, — ახლა რომ კბილები მოკუმოს, ხომ დაიღუპა ექიმი, — ფი-  
ქრობდი მე და შიშით შეეცქეროდი ავადმყოფის მოძრაობას.  
მაგრამ ავადმყოფი თავს იმაგრებდა და სიყვარულით უცქე-  
როდა ექიმს. დიდ ხანს, დიდ ხანს ებრძოდა თავის თავს და  
ჩვენც კარგად ვხედავდით, რა ძნელი იყო ეს თავშეკავება  
მისთვის.

— ააჰ!.. — დაფიქვრით ყველამ ერთ ხმაუ და მივარდით  
ექიმს. ავადმყოფმა ველარ შესძლო და პირი მოკუმა. სისხლმა  
შეღება „ურიას“ თითი.

— გამოიღეთ თითი, — დაუყვირე შეშინებულმა ექიმს

— არ შეიძლება, — დინჯად მომიგო, „ურიაჰ“, ავად-  
მყოფი შეწუხდება.

— შენც ხომ გეღება ცოფი?

დათიკომ მხრები-ლა აიწია: — თუ გადაღებაა, აქამდის  
უნდა გადამდებოდა.

ამის გაგონებაზედ მთლად ავკანკალდი. მაგრამ ექიმი კი  
იჯდა დინჯად და ნაზად უსვამდა ავადმყოფს ხელს; ისიც ისე  
უყურებდა, თითქო სთხოვს რასმე ვედრებითა. ვხედავდი  
ცოცხალ, კვიან ადამიანს, რომელსაც ესმოდა ის უბედუ-  
რება, რაც ექიმს მიაყენა, და ჯერ ეშველა მისთვის; ვხედავდი,  
რომ სცდილობდა, როგორმე გაედო პირი, მაგრამ საუბედუ-  
როდ ვერ შეეძლო; ვგრძნობდი იმის ცრემლების სიმწვავეს,

თხოვნას, მუდარას და აი ავადმყოფმა ნელ-ნელა გააღიზიანდა და ექიმმაც თითი გაათავისუფლა.

— ჩქარა წამალი! — დაუყვირე მე და მივევარდი ექიმს.

— ნუ ჩქარობ, — დინჯად მიპასუხა ექიმმა, — არა უშავს-რა. არა ყოფილა მაგალითი. რომ ადამიანისგან ადამიანს გადასდებოდეს ცოფი; საშიშია მხოლოდ პირუტყვების ნაკბენი. მთელი ღამე და მეორე დღე ავადმყოფმა ტანჯვაში გაატარა. ხან-და-ხან, როცა ცოფი ისევ მოუვლიდა და გულს უხუთავდა, ავადმყოფი მიიპყრობდა ხოლმე ექიმს ცრემლიან თვალებს, თითქოს კითხულობდა: ოჰ, ნუ თუ ბოლო აღარ ექნება ამ ტანჯვას? ნუ თუ აღარ ველირსები ფეხზე წამოდგომის? გაფითრებული, აღელვებული დათიკო ამშვიდებდა და გულს უმაგრებდა.

ერთ წუთს არა შორდებოდა ავადმყოფს. როგორც დედა, ისე უვლიდა. ცოფი-კი უფრო და უფრო ერეოდა ავადმყოფს, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა. ცოფის მოახლოვებას რომ იგრძნობდა უბედური, მაშინ გაისმოდა იმისი თავგანწირული კივილი: „წადით, წადით!“ — და მერე ჰგლეჯდა იქაურობას. და აი სწორედ ამ დროს, ამ საშინელ წუთს, მომესმოდა ურიისდამშვიდებული, აღერსიანი ხმა. ამ სიყვარულით სავსე ხმის გაგონებაზე, მომაკვდავი კოცხლდებოდა, კოცხლდებოდა ადამიანი, სავსე ადამიანურ შვენიერებით და მწუხარებით აღსავსე, სთხოვდა ექიმს შენდობას, მადლობას ეუბნებოდა და ხელებს უკოცნიდა.

— ძმაო, მეგობარო, — ევედრებოდა ავადმყოფი ექიმს, — გაფიცებ ყოველსავე, რაც ძვირფასია შენთვის ქვეყნიერობაზედ, გაფიცებ სიყვარულსა და მეგობრობას, საწამლაღი დამალევიწე! მინდა ადამიანურად მოვედდე და არა პირუტყულად!

— განა შემძლიან ადამიანის მოკვლა, — მიუგო აკანკალებულის ხმით დათიკომ, — მე, როგორც ექიმი, მოვალე ვარ მოვარჩინო სნეული და, რითაც იქნება, უშველო, თუ შეიძლება.



— სად არის შველა, სად არის? ჰხედავ, ვიტანჯებენ...

— დამშვიდდით, იმედს ნუ გადაიწყვეტავთ, ეს მშენებლებმა კვლავ „ურია“.

— არა, აღარა მწამს რა დედა-მიწის ზურგზედ, —ობრავე და ავადმყოფი, —მწამს მხოლოდ ადამიანი ნამდვილ ადამიანურის გულითა და სულით! — მივარდა ამ დროს „ურიას“, მოეხვია და დაუწყო ხელებისა და ტანისამოსის კოცნა.

— ძმაო, მეგობარო, — ეუბნებოდა ავადმყოფი, — თქვენ დამიმტკიცეთ, რომ ქვეყანაზედ კიდევ არსებობს მოყვასისადმი სიყვარული; თქვენ შემიმსუბუქეთ გამოუთქმელი ტანჯვა, და ამისთვის, ამისთვის... აქ ავადმყოფმა ველარ შეიმაგრა თავი, დაეცა ექიმის მუხლებზედ და მორთო მწაბრედ ქვითინი.

## VII

ქალაქში კი ამ დროს ურიებს აწიოკებდნენ. ხალხი გრგვინავდა, ჰღელავდა და მხეცურის სიმკაცრით ანადგურებდა, რაც ხელში მოხვდებოდა. ამისთანა მღელვარება უეცრივი არ არის: მზადდება თვეობით, წლობით ტანჯულთა გულში, მერმე ერთბაშად გადმოხეთქავს და ვაი იმას, ვინც წინ გადაუდგება გამხეცებულ ბრბოს. ბრბო ეძებს მსხვერპლს და მსხვერპლად ხდება ის, ვინც ყველაზე უმწეო და სუსტია. ხალხი აღარაფერს არჩევს, სცემს დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც, სცემს და ჰკლავს თვით უსუსურ ბავშვებსაც კი. ახლაც ეგრე იყო. ბრბომ იერიში მიიტანა ურიებზედ. ყველა გაშმაგებულ მონაწილეობას იღებდა ამ უბედურებაში; დანგრეულ სახლების ქახი-ქუხი, შუშების წკრიალი ატკობდა მათ ყურთა სმენას, და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ხშირ-ხშირად გამეორებულიყო მათი დამატკობი ერიაშული. ყოველსავე ამას ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

მე და გურჯეისი მივიდოდით შინ საავადმყოფოდან, სადაც ის იყო გამოვსალმა წუთი სოფელს ძალ-ლონით საესე ახალგაზრდა. გურჯეისი სცხოვრობდა ღარიბების უბანში, სადაც ეხლა ყველაზედ საზარელი ამბები იყო. მინგრეულ-მონ-



გრეული სახლები, დაწოკებული ხალხი თავ-ზარსა ატყეოდნენ ადამიანს. ყველგან ბავშვების ტირილი და ქალების გუნტის ოხვრა ისმოდა. გურვეისი ქასქასით მიდიოდა შინისაკენ აქნ ქარებით... გულს უკლავდა ბრბოს საქციელი; თვალ-ცრემლიანი უცქეროდა თავის ამწოკებელ ხალხს, და ფერ-გადაკრული მიეშურებოდა თავის სახლში. აი ხალხის მადლობა! ექიმი ყოველთვის ივიწყებდა თავის თავს ამ ხალხისთვის, ეხლა კი... ეხლა რასა ჰხედავს?.. შეურაცხყოფას, ადამიანის ღირსების შელახვას. იქნება ამის წინააღმდეგაც გამოილაშქრა უგულო, ბრიყვა ბრბომ? ან რა საკვირველია! ესეც ხომ ურიაა და, მაშასადამე, უნდა მოჰკლან, ან წაართვან მთელი სარჩო-საბადებელი. ოჰ, უსამართლობავ, უსამართლობავ! ეს ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდა და გულს მიღრღნიდა. ვგრძნობდი, რომ ამასვე ფიქრობს დათიკო, რომ ცხარე ცრემლები უზუთავს სულს. გადავხედე ჩემ ტანჯულ ამხანაგს. გაყვითლებული დათიკო თრთოდა. და ორის ცრემლის მარგალიტი დაცურავდა მის გამხდარ ლოყებზედ. მე მრცხვენოდა ჩემის თავისა, რადგანაც ვეკუთვნოდი იმ ერს, რომელიც სდევნიდა ებრაელებს და საზარელ შეურაცხყოფას აყენებდა სრულიად უდანაშაულო ხალხს.

— აი, ხალხი! არა ჰგრძნობს, რასა კადრულობს, — მწარედ ამოიკვნესა დათიკომ, როცა დაინახა სახლის ნანგრევებზედ მტირალი ბავშვები... — ეს არის სამართალი? სიღარიბე სიღარიბესა სდევნის; მოყვასი მოყვასსა ჰკლავს!.. — მწარედ ჩაიქნია ხელი და წერილი ფული გადაუყარა მტირალ ბავშვებს. ვგრძნობდი, რომ ეს ხალხის დანაშაული ჩემი დანაშაულიც იყო. მახსოვს, ღრმად აღელვებული მივეარდი დათიკოს და მაგრა, მაგრა ჩავიკარი გულში. ისიც აკანკალებული მომეკრა და მდულარება დააპნია. არ ვიცი, რასა ფიქრობდა ამ დროს გურვეისი; როგორ წარმოვიდგენდი, რომ ხალხი ხელს შეეხებდა თავის ექიმის სახლს. გურვეისმა ნაბოჯს მოუმატა; მე ყურადღებას არ ვაქცივდი; მეგონა, უნდა რაც შეიძლება მალე, გააშოროს თავი ამ საშინელ სურათს

მეთქი. დამავიწყდა, რომ გაშმაგებული ხალხი არაფერს არ აჩვენებს და ყველაფერს ანგრევს, რაც კი მოხვედრება.

საშინლად დავიკვილე, როცა დავინახე იმისი ნახევრად დანგრეული სახლი. ხალხი შიგ დათარეშობდა, ქუჩაში ჰყრიდა ავეჯს. სიბრაზისგან თავ-დავიწყებული, გამოუდგეკი დათიკოს. აღარა მესმოდა რა, აღარას ვხედავდი... იქ, ზემოდ კიბეზე მიკუნქულიყვენ დათიკოს ცოლ-შვილნი. დედა შვილებს იფარავდა. ჩვენს დანახვაზედ, გურჯეისის ცოლი გამოეკანა ჩვენკენ ხელების მტვრევით.

— მამა! მამა! — ტიროდნენ ბავშვები და ხელგამოწვდილნი მორბოდნენ მამისაკენ.

— გვიშველეთ! — დაიყვირა ცოლმა და მუხლებზედ მომებვია. გურჯეისმა აიყვანა პატარა ბავშვი ხელში, მოჰხვია ცოლს ხელი და კოცნითა და ალერსით ცდილობდა იმის დამშვიდებას. მე-კი გავეჩანე აღელვებულ ხალხისკენ... მაგრამ ამ დროს გაისმა დოლის ხმა... ოჰ, ეს წუთი!... ეს დედის საზარელი, განწირული ხმა, რომელშიაც შიში და შველა, მწუხარება და შეურაცხყოფა იხატებოდა! ბავშვების ყვირილი „მამა, მამა,“ იმათი საშველლად გამოწოდამილი ხელები, მამის თვალები, სავსე მწუხარებით, ოჰ, ჩემს დღეში არ დამავიწყდება! ან რა დამავიწყებს?

არ ვიცი, ჩემმა საშინელმა კვილმა, თუ დოლის ხმამ, იმოქმედა გაბრაზებულ ხალხზედ, მაგრამ ეს კი მახსოვს, რომ ბრბო ერთ წუთს შესდგა და მერმე სიჩქარით დაეშვა ძირს; თან მეც მიმათრევდა. ხალხი მირბოდა, ვით დამფრთხალი ცხვრის ფარა. ერთმანეთს ზედი-ზედ აწყდებოდნენ, აქეთ-იქით ისროდნენ. ერთი მათგანი წაბარბაცდა, და ზემო სართულიდან ძირს ჩამოვარდა ქვის ფილაქანზედ. გაისმა რაღაცა ყრუ ხმა, ამას მოჰყვა გულ-შემზარავი ყვირილი და კვნესა. ჩამოვარდა სამარისებური მღუმარება. ყველაფერი მიწყნარდა. გურჯეისი კი იდგა ერთ ადგილას და ცოლს ეხვეოდა. სახეზედ რაღაც აჩრდილმა ვადაჰკრა, თვალები მკაცრად გაუბრწყინდა, მაგრამ ამ ხმის გაგონებაზედ შეკრთა. ერთი წუთიც, და ექიმმა სძლია შეურაცხყოფილ მამას და ქმარს; მან საჩქაროდ დასვა ბავშვი და ჩამოვიდა ძირს. ხმა ამოუღებლივ მივიდა ჩამოვარდნილთან, გაუსინჯა გული, მოჰბანა თავი და შეუხვია. შეგროვილი ხალხი განცვიფრებული უცქეროდა დათიკოს. რა



იხატებოდა მის თვალებში, არ ვიცი; ალტაცებულ როდი გურვეისს. მახსოვს, მინდოდა მეტქვა ტკბილი, ალერსიანი სიტყვა, მენუგეშებინა დათიკო. ამასვე გრძობდნენ ყველა იქ მყოფნი, რომლებიც ვერა ჰხედავდნენ ხმის ამოღებას. მაგრამ ერთმა დედაკაცმა-კი ველარ მოითმინა.

— ოჰ, ჩვენო ნუგეშო, ჩვენო მფარველო, — შეჭყვირა თვალ-ცრემლიანმა, მტერსაც-კი ჰშველი... ღმერთმა ჰკითხოს მაგათ, ჩვენო მკურნალო, ღმერთმა! აქ-კი ველარ მოითმინა გურვეისმა: ამ სიტყვებმა არ დაამშვიდა-კი, არამედ უფრო გაუმწვავა გულის-წყლული.

ან რად უნდა შებრალება, როდესაც ის არ იხრის თავს თვით ამ უბედურების წინაშეც-კი? რად უნდა ალერსიანი სიტყვა, როდესაც იგი გაჩუმებულია, ხმას არ იღებს. დათიკომ ველარ მოითმინა; გაფითრებული წამოდგა, გადაავლო ხალხს თვალი და აკანკალებულის ხმით შეჭყვირა.

— «სტყუით! სტყუით! მე ურია ვარ»!

ეს ამოსკდა დამწვარ გულიდგან; ეს იყო საყვედური, ხალხის დარცხვენა. აქ დათიკო დაბარბაცდა, დააყრდო ჩემს მხარზედ თავისი ტანჯული თავი, და დაიწყო ბავშვივით გულ-ამოსკვნილი ტირილი.

კ. ბაქრაძე





## შპ. პერონიკას ჩაღრი

სელმა ლაგერლუფისა

(შემდეგი\*)



ერუსალემში რომელი მმართველს ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, და წინა დღით, სანამ ფაუსტინა მივიდოდა, უცნაური სიზმარი ნახა.

ნახა, ვითომც სასახლის ბანზედ სდგას და დიდს ლამაზ ეზოს გადაჰყურებს, რომელიც, აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, მარმარილოთი იყო მოფენილი და გარეშემო საუცხოვო მცენარეებით იყო გარშემორტყმული.

მაგრამ ეზოში რაღაც მიზეზებისა გამო თავი მოეყარათ ყველა ქვეყნიდან ავადმყოფებს, დამბლა-დაცემულთ და უსინათლოთ. თვალ წინ ეროდნენ შავის ქირით შეპყრობილნი დასიებულ გვამებით, კეთროვანნი დიარავებულ სახეებით, დამბლად დაცემულნი, რომელნიც ადგილიდან ვერ იძროდნენ და უმწეოდ ეყარნენ მიწაზე, და დაუსრულებელი ხროვა სხვა უბედურთა, სხვა და სხვა სენით ავადმყოფთა.

ყველა სასახლის შესავალ კარებისაკენ მიესწრაფებოდა, ზოგიერთი ახლო მდგომთაგანი კი ხმა მალლა არაკუნებდა კარებს.

ბოლოს, მონამ ვალო კარები და ბქისკართან გაჩერდა. ესმის ქალს, რომ მონამ ჰკითხა ხალხს, — რა გინდათო?

მათ უპასუხეს:

— ჩვენ ვეძებთ დიდებულს წინასწარმეტყველს, უფლის მიერ მოვლინებულს. სად არის ნაზარეველი წინასწარმეტ-

\*) იხილე „ნაკადული“ № 10 1908 წლისა.



ყველი, სად არის ის, რომელსაც ძაღვს დაგვიხსენებენ?  
ჯვ-წვალეებისაგან?

მაშინ მონამ უპასუხა გულგრილ-დამცინავ კილოთი, როგორც ჩვეულებრივ იქცევიან ბატონთა მსახურნი, როცა ღარიბ მთხოვნელებს ჰრეკავენ:

— ამოდ დაუწყებთ ძებნას თქვენს წინასწარმეტყველს: პილატემ მოაკვდინა იგი! სწულთა შორის ისეთი ტირილი, ღრიანცელი და კბილთა ღრქენა გაისმა, რომ ახალგაზრდა ქალმა ველარ შესძლო ყურის გდება, ტანჯვისაგან გული ეღეოდა და თვალთაგან ცრემლი სდიოდა... ტირილით გამოვლვიდა.

კვლავ ჩასთვლიმა და კვლავ ნახა სიზმრად, თითქოს ისევ ბანზედ სდგას და აქედან უყურებს დიდს, საბაზრო მოედანსავით, უზარმაზარ ეზოს.

ეზო ისევ სავსე იყო ხალხით, რომელსაც აზროვნება დაეკარგა, გადარეულიყო და ბოროტის, მავნე სულით იყო შეპყრობილი. ჰხედავდა ქალი ისეთებს, რომელნიც მთლად გატიტვლებულიყვნენ, ისეთებსაც, რომელნიც გრძელ ბალანში გახვეულიყვნენ, ისეთებსაც, რომელთაც ჩალისაგან დაეწინათ გვირგვინები და მწვანისაგან ნაბდები და მეფედ ხადიდნენ თავს, ისეთებსაც, რომელნიც მიწაზე დახოხავდნენ და მხეცვბად ხადიდნენ თავს, ისეთებსაც, რომელნიც შეუჩერებლივს სტიროდნენ მწუხარებითა და არ-კი იკოდნენ, რა მწუხარება იყო და ისეთებსაც, რომელნიც მოათრევდნენ მძიმე ლოდებს და ოქროს ნატეხბად მიჩნდათ და ისეთებსაც, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ მათის ბაგით ბოროტი სული ლაპარაკობდა...

ხედავდა ქალი, როგორ იჩეოდა ეს ხალხი სასახლის ალყაფის კარებთან, წინ მდგომნი კი არაკუნებდნენ, ხმა მაღლა მოითხოვდნენ, რომ ყველა შეეშვათ ეზოში.

კარი გაიღო, გამოვიდა მონა და ჰკითხა, რა გინდათო?

ყველა ხმა-მაღლა ყვიროდა:



— სად არის ძლიერი ნაზარეველი წინასწარმეტყველის, რომელიც ღმერთმა გამოჰგზავნა და რომელმაც უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი სული და აზროვნება?

გაიგონა ქალმა გულგრილად წარმოთქმული პასუხი მონისა:

— გვიან-ლათა! გვიან-ლა კითხულობთ ძლიერს წინასწარმეტყველს:— პილატემ მოაკვდინა იგი.

ამ სიტყვებზე გონება შერყეულთ ტყის ნადირებივით იწყეს ღმუილი, სასოწარკვეთილნი ხორცს იგლეჯდნენ, და სისხლი მარმარილოზე სდიოდათ. და ქალიც, რომელიც სიზმარში მათ უნუგეშო მდგომარეობის მოწამე იყო, ხელებს იმტვრევდა და სტიროდა. კრემლებმა ისევ გამოაფხიზლა იგი.

ისევ დაეძინა, და კვლავ ნახა ბურანში, რომ სასახლის ბანზედ იგდა. გარეშემო უსხდნენ მხვეალი ქალები და საკრავს უკრავდნენ. ნუშის ხეებს ტოტები საუცხოვო სუნენლოვანის ყვავილებით მასზე დაეხარათ.

ვილაცის ხმა შემოესმა.

— მიდი ბანის მოაჯირთან და შენს ეზოს გადაჰხედე! მაგრამ ქალი უარს ეუბნებოდა.

— არა მსურს დაინახო არც ერთი მათგანი, რომელნიც ამ საღამოს ჩემს ეზოში შეკრებილან. ამდროს მოესმა ბორკილების ჭლარუნი, მძიმე ჩაქუჩების რახა-რუხი. მხვეალთ შესწყვიტეს სიმღერა, მიიჩბინეს მოაჯირთან და ძირს ჩაიხედეს. ქალიც ველარ გაჩერდა ერთ აღგილს და საცქერლად მივიდა.

და, დაინახა, ეზო სავსე იყო ტუსალებით; აქ შეკრებილიყვნენ აქამომდე ციხის ბნელ სარდაფებში მყოფნი, მძიმე რკინის ბორკილებ დადებულნი. მათ უერთდებოდნენ სხვები, რომელნიც ბნელ მალაროებში მუშაობდნენ და მძიმე წერაქვებს მოათრევდნენ, სამხედრო გემების ნიჩბის მომსმელნიც თავის უზარ-მაზარ, რკინით შემოკედილ ნიჩბებით მოსულიყვნენ. მოსულიყვნენ აგრედვე ისინიც, რომელთათვის



ჯვარცმა მიესაჯათ, და თავისათვის ჯვრებიც მოეთრძობნენ, რომელიც, რომელთათვის თავის მოკვეთა გადაეწყვიტათ ცულითა და კუნძებით. მონები, რომელნიც შორეულ ქვეყნებიდან წამოეყვანათ ტყვედ, უყურებდნენ ახალგაზრდა ქალს, და ეტყობოდათ სამშობლო ქვეყნის მოშორებას ჰნაღვლობდნენ. — საბრალონი, რომელთაც საქონელივით ძალდატანებით ამუშავებდნენ, რომელთა ზურგი მათრახს სისხლის კვალით აეჭრებოდა.

ყველა ეს უბედურნი კარებს აწვებოდნენ ღრილით, რომელიც თითქო უზარ-მაზარ მკერდიდან ამოჰხდათო:

— გაგვიღეთ!.. გაგვიღეთ!..

მაშინ მონამ, რომელიც შესავალს იცავდა, გააღო კარი და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

და უპასუხეს:

— ჩვენ ვეძებთ დიდებულს ნაზარეველ წინასწარმეტყველს, ქვეყნად მოსულს, რომელიც ყველა შეპყრობილთ თავისუფლებას და მონებს სიხარულს მოგვანიჭებს!

მონამ თითქო მოქანცულიაო გულ-გრილად უპასუხა:

— აქ ვერ იპოვით იმას... პილატემ მოაკვდინა იგი!..

და ეს სიტყვები რომ ეზოში შეკრებილ უბედურთა სმენას მიეკარა, — მათ ისეთი სასოწარკვეთილებისა და ბრახის მორევით უპასუხეს, რომ ქალი კარგად გრძნობდა, როგორ ხანზარებდა ცა და დედამიწა. შიშით გაქვავდა და ისე შეკრთა რომ უცებ გამოეღვიძა.

გონს რომ მოვიდა, წამოჯდა და გაიფიქრა: „ალარ მსურს სიზმრების ნახვა! მთელ ღამეს ვიფხიზლებ, რომ ასეთი საშინელება აღარა ვნახო“.

მაგრამ ძილმა სძლია, თავი ბალიშზე მიაყრდნო და დაეძინა.

ისევ ბანზედ იდგა, მისი პატარა ბავშვი კი იქვე დარბოდა და ბურთაობდა. მაგრამ, იი, უცნობმა ხმამ წისჩურჩულა: „მიუახლოვდი ბანის მოაჯირს და გადაიხედე, ის რა ხალხი



შეკრებილა შენს ეზოში ან რას მოელის იქა“? ქალმაყვანმა დაუბრა-  
ლა შენს დასამარტყველს: „მე საკმაო მწუხარება ვიხილე ამ ღამეს“.

აქანა არ ძალმოძს. მე აქ, ამ ადგილს უნდა დავრჩე“!

მაგრამ ამ დროს ბავშვს მოაჯირზე გადაუვარდა ბურთი და ამოსაღებად გადაიხარა. დედას შეეშინდა, გაექანა ბავშვისაკენ და დაიქირა.

მაგრამ ამასთანავე ძირს გადიხედა და დაინახა, რომ ეზო ხალხით იყო სავსე.

ახლა იქ შეკრებილიყვნენ მთელი დედაპიწის ზურგიდან ომში დაქრილი. დასახიჩრებული ტანი ჰქონდათ და დიდი, პირგახსნილი იარაღები, რომელთაგან გამომოჩხუხებდა სისხლი, ასე რომ მთელი მარმარილოს ფენილა სისხლით იყო მოწყული.

გარეშემო ირევოდნენ ყველა იგინი, რომელთაც ბრძოლის ველზე დაეკარგათ საყვარელი ნათესავნი. აქ იყვნენ ობლები, რომელნიც დასტიროდნენ თავის მშობლებს, ახალგაზრდა ქალები, რომელნიც ეძახდნენ საყვარელ ქმრებს, და მოხუცნი, რომელნიც თავის შვილებს ჰგლოვობდნენ.

წინ მდგომნი კარებთან ატუზულიყვნენ, და მცველიც, როგორც წინად, მოვიდა და გაალო კარი.

იგი დაეკითხა ამ უბედურთა ბრბოს, სხვა და სხვა ომში დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეგობრებს და პატრონებს:

— რას ეძებთ ამ სასახლეში?

და მათ უპასუხეს:

— ჩვენ ვეძებთ დიდებულ ნაზარეველ წინასწარმეტყველს, რომელიც მოსპობს ომსა და შუღლს დედაპიწაზე და დაამყარებს საუკუნო ზავს... ჩვენ ვეძებთ მას, რომელიც შუბებს ცელებად გადაადნობს, მახვილს ნამგლებად აქცევს!..

მონამ მოუთმენლად უპასუხა:

— ნულარ მაწუხებთ... მე უკვე რამდენჯერმე გითხარით, რომ აქ არ არის ძლიერი წინასწარმეტყველი: პილატემ მოაკვდინა იგი.



შემდეგ კარები მოუკეტა. ახალგაზრდა ქალს სიზმარში წარმოუდგა ის საშინელება, რომელსაც ეს სიტყვები გამოიწვევდა შეკრებილთა შორის. „არ მინდა ამის გაგება“, სთქვა მან და მოაჯირიდან განზე გადავა. ამ დროს გამოეღვიძა და დაინახა, რომ შიშით ლოგინიდან გადმოცურებულისეო და ეხლა ცივს ქვაფენილზე იდგა.

კვლავ გაიფიქრა, სიზმრებს აღარ ვნახავ და ვეცდები არ დამეძინოსო. მაგრამ, ძილი მაინც მოერია, თვალები მიეღუღლა და ჩასთვლილა.

ისევ ბანზედ იდგა სიზმარში, გვერდით კიკქარი უჯდა. ქალი უაზრობდა თავის სიზმრებს, ქმარი კი დასცინოდა. კიდევ მოესმა ხმა: „აღეკი,“ გადახედე ხალხს, რომელიც შენ გიცდის ეზოში.“

მაგრამ ქალი ფიქრობდა: „აღარ გადავიხედავ იქით, უბედურთა ტანჯვას საკმაოდ ვუყურე დღეს.“

ამ დროს კარები სამჯერ ძლიერად დააკაკუნეს. ქმარი მოაჯირთან მივიდა, რომ გაერჩია, ვის უნდოდა სახლში შემოსვლა.

მაგრამ გადაიხარა თუ არა მოაჯირზე, მაშინვე თითის ქნევით მიიხმო ცალი...

— იქნება გაარჩიო, ვინ არის ის კაცი, აგერ შემოსავალთან ატუზული?

ქალმა გაიხედა და დაინახა, რომ ეზო მხედრებითა და ცხენებით იყო სავსე; მონები ხსნიდნენ ბარგს სახედრებს და აქლემებს. ეტყო ბოდა, რომ მოსული წარჩინებული ვინმე იყო.

შემოსავალთან იდგა უცნობი, — მალაღობის ტანის, მხარბეჭიანი მოხუცი მოლუშულ სახით.

შმართველის ცოლმა იცნო მგზავრი და ქმარს წასჩურჩულა:

— კეისარი ტიბერი არის... იერუსალემში მოსულა!.. ყოვლად შეუძლებელია, რომ სხვა ვინმე იყოს...

— მეც ეგრე ვფიქრობ, — უთხრა ქმარმა და ანიშნა და-



ჩუმებულიყო და ყური დაეგდოთ, რასა ლაპარაკობდნენ ეზოში.

დაინახეს, რომ კარის კაცმა გაახედა და ჰკითხა მოხუცს:

— ვის ეძებ?

და მან უპასუხა:

— მე ვეძებ ძლიერს წინასწარმეტყველს ნაზარეთიდან, რომელსაც ღმერთმა სასწაულთ მომქმედი ძალა მოუვლინა. იმპერატორი ტიბერი თავისთან იწვევს, რათა მან განკურნოს საშინელი სენი, რომელიც ვერ მოუტრჩენია ვერც ერთს ექიმს.

მონა დაბლა დაიხარა და უპასუხა:

— ბატონო, ნუ გაწყურები, მაგრამ ეგ შეუღსრულებელია. მაშინ იმპერატორი მიუბრუნდა მონებს, რომელნიც ეზოში მოელოდნენ, და რალაც ანიშნა.

მონები მისკენ გაექანენ. ზოგს ხელში ძვირფასი თვლები ეკირა, ზოგს მარგალიტით საესე თასები მოჰქონდა, ზოგნი კი ოქროთი საესე პარკებს მოათრევდნენ.

იმპერატორმა უთხრა კარის მცველ მონას:

— ყველა ეს იმისი იქნება, ვინც უშელის ტიბერის. ამით იგი მთელ სამყაროს ღარიბ-ღატაკთ გააბედნიერებს.

მაგრამ კარის კაცმა უფრო ძირს დახარა თავი და უთხრა:

— ბატონო, შენს მსახურს ნუ გაუწყურები: შენი სურვილი განუხორციელებელია.

იმპერატორმა ხელმეორედ ანიშნა მონებს, და ორმა მათგანმა საჩქაროდ მიართვა მდიდარი შესამოსავი, რომელზედაც ძვირფასი თვლებით მოქედილი სამკერდე ბრწყინავდა.

და იმპერატორმა უთხრა მონას:

— ხედავ, ის, რასაც ვაძლევ მე მას, არის ურიასტანელ მეუფეთა სამკაული. იგი თავისი ხალხის ბედ-იღბლის მესვეური შეიქნება. გამოწყვეს და განკურნოს ტიბერი!

მმონამ მიწამდე დაიხარა და უთხრა:

— ბატონო, ჩემ ხელთ არაა შენი დახმარება.

მაშინ იმპერატორმა მესამედ ანიშნა მონებს, და მათაც  
 მოართვეს ოქროს რკალი და წითელი წამოსასხამი.


— მოისმინე, — უთხრა მან, — ასეთია იმპერატორის ნება:  
 მან კეთილ ინება შემკვიდრეობა დაუმტკიცოს და გადასცეს  
 შეუფება მთელ სამყაროზე იმ სასწაულთ მომკმედს. მას ნება  
 ექმნება განაგოს სამყარო თავის ღმერთის კანონებისამებრ,  
 მხოლოდ ხელი გაუწოდოს და განკურნოს ტიბერი!

მონა ფეხებში ჩაუვარდა იმპერატორს და საბრალოდ  
 დაიკვნესა:

— შეუფეო! ჩემ ხელთ არაა შენი ნების აღსრულება.  
 ვისაც შენ ეძებ, აღარ არის ამ ქვეყნად: პილატემ მოაკვდი-  
 ნა იგი!...

დ. დადვაძე





## სინათლა და მისი

### მნიშვნელობა

(შემდეგი)



აგნების არა ერთნაირი ფერი წარმოსდგება იქილგან, რომ ისინი სხვა და სხვა ნაირად უკუაქცევენ რთულ თეთრ სხივს: ზოგი სავსებით ან ისეთის შეზავებით, რომელიც საჭიროა თეთრის სხივის შესადგენად; ზოგიერთ რომელიმე ფერად ნაწილს თეთრი სხივისას, მაგალითად წითელს, ყვითელს და სხვ.; ზოგიერთი-კი სრულიად შთანთქავს თეთრ სხივს და არც ერთ მის შემადგენელ ფერად ნაწილს არ უკუაქცევს. სხვა და სხვა უკუქცეული სხივები ერთნაირად არ შეატყობინებენ მხედველობის ნერვის ბოთლებს თავის მოქმედებას, რადგანაც ისინი ერთნაირად არ ირკვევიან. ის სხივები, რომლებიც ახდენენ წითელი ფერის შთაბეჭდილებას, ყველაზე უფრო ნელა ირყევიან, შემდეგ ეს რყევა თანდათან მატულობს წითლიდან იისფრამდის (სპექტრის ფერების მიყოლით), და იისფერი სხივების ტალღები თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად ირყევიან, ვიდრე წითელი სხივებისა. ცხადია, ნელი რყევა ერთნაირად აღძრავს ნერვს და სწრაფი მეორე ნაირად, და აქედან წარმომდგარ შთაბეჭდილებას სხვა და სხვა ფერის ნაირად ვტყობულობთ. როდესაც ყველა სხივებს შთანთქავს ზოლმე საგანი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, თვალში საგნის სხივები სრულიად აღარ შედიან, და



საგანიც შევად მოსჩანს მის გარშემო მყოფ ნათელს შორის.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალათი. ავიღოთ წითელი მატერია (მაგალითად ჩითი) და დავაკვირდეთ მის ფერს სხვა და სხვა გარემოებაში: ჯერ დღის სინათლეზე ან ჩვეულებრივ ლამპრისაზე; ლამპრის სინათლეც ძალიანა ჰგავს მზისას; შემდეგ შევიტანოთ ბნელ ოთახში და გავანათოთ სპირტის ლამპრით, რომელშიაც სპირტს საკმელი მარილი აქვს მიმატებული. ამ აზრით შეგვიძლია ვიხმაროთ ჩვეულებრივი სუფთა ქრაქი და შიგ ნავთის მაგივრად სპირტი ჩავასხათ. წმინდა სპირტის ალი თითქმის სრულიად უფერულია, და მარილი მის ყვითელ ფერს აძლევს. ჩვენ დავინახავთ, რომ მატერია ორსავე შემთხვევაში ერთნაირი ფერისა არ არის. დღის სინათლეს ჩვეულებრივ ლამპრისაზე ან სანთლისაზე წითელი ფერი აქვს, მაგრამ მარილ-შერეულ სპირტის ყვითელ ალი რომ გავანათებთ, მოშავო ნაცრის ფერი მიეცემა და სიწითლის ნატამალსაც ვერ შევამჩნევთ.

ეს გასაოცარი მოვლენა იმ მიზეზით წარმოსდგება, რომ ის ნივთიერება, რომლითაცაა შეღებილი ჩვენი მატერია, სხვა და სხვა ნაირად მოქმედებს ყვითელ, ალისა და მზის სხივებზედ, რადგანაც ამ უკანასკნელთა ბუნება ერთნაირი არ არის. მზის სხივი შეიდი ფერადი სხივისაგან შესდგება, და სპირტის ყვითელ ალს-კი მარტო ყვითელი სხივები შეადგენს. მზის ფერად სხივთაგან ხსენებული ნივთიერება უკუაქცევს და ჰფანტავს მხოლოდ წითელ სხივებს, რის გამოც მატერიასაც წითელი ფერი აქვს; ყვითელ სხივებს-კი ეს ნივთიერება თითქმის სრულიად ჰკლავს და არ ჰფანტავს (არ უკუაქცევს) ღია ამიტომ ის ბნელად მოსჩანს.

მზგავსივე განსხვავება ეტყობა ჩვენი პირისახისა და სხეულის ფერს სპირტის ყვითელ ალზედ. ამ შემთხვევაში სახეს და სხეულს ერთობ მკრთალი ბნელი ფერი აქვს, როგორც მიცვალებულს, რადგანაც ჩვენი სხეული ძალიან სუს-

ტად უკუაქცევს ყვითელ სხივებს და უმეტეს ნაწილად მკლეი ჰავს მათ.

გ. ბ. ლ. ი. მ. მ. მ.


ლილა რომ მოვათავსოთ სპექტრის სხვა და სხვა ნაწილში, შევამჩნევთ, რომ იმას თითქმის ყველგან შავი ფერი ექნება, გარდა ლურჯის ნაწილისა, სადაც ის კიდევ უფრო ღია-ლურჯ ფერს მიიღებს, რადგანაც ის ამ ფერს უკუაქცევს განსაკუთრებით.

გამსჯირვალე საგნებიც (მაგალითად, სხვა და სხვა შუშა) არა ერთნაირად მოქმედებს თეთრ სხივზედ: ზოგი საგნებით უშვებს მეორე მხარეზედ, და მაშინ საგანს თეთრი ფერი აქვს; ზოგი კი ერთ რომელსამე ფერად სხივს, და ამის გამო საგანსაც ასეთი ფერი აქვს.

ასე საინტერესოდ მოქმედებს სხვა და სხვა სხივების რყევა თვალზედ, მაგრამ არც ყოველნაირ სიჩქარის რყევის გაგება შეუძლიან თვალს. თუ წითელ სხივზედ უფრო ნელა ირყევა რომელიმე სხვა სხივი ან იისფერზედ უფრო ჩქარა, მაშინ თვალი ვერც ერთს დაინახავს და ვერც მეორეს.\*) ამისთანა სხივების არსებობა მართლა დაამტკიცეს მეცნიერებმა სხვა და სხვა ღონისძიებით. ჩვენ-კი ვერ ვამჩნევთ, რადგანაც თვალის ნერვი შესაფერ მგრძნობიერებას ვერ იჩენს იმათ შესახებ. როდესაც პრიზმის შემწეობით ვაჩენთ სპექტრს, გვგონია, რომ ეს ფერადი ზოლი იწყება წითელ სხივებით და თავდება იისფერიითაო, მაგრამ ეს ასე არ არის; გამოკვლევა ამ-

\*) ეს მოვლენა მოგვაგონებს ხმის ტალღების მოქმედებას სმენის ორგანოზედ—ყურზედ. ხმა წარმოსდგება იქიდან, რომ ხმის გამოძეგმი საგანი, მაგალითად ჩანგურის სიმი (ძაფი) არყვეს ჰაერს და აჩენს მასში ტალღებს, რომლებიც თავის მხრივ არყვევენ სმენის ნერვის ბოლო ძაფებს და იმის (ნერვის) შემწეობით აგრძნობინებენ ტვინს ამ რყევას ხმის სახით. ჩვენ გვესმის ნაირ-ნაირი ხმები, რომლებიც სხვა და სხვა სისწრაფის რყევისაგან წარმოსდგება (შეიძლება ერთი სიმი ნელა ირყეოდეს და მეორე სწრაფად, — აქედან იმათი ხმებიც სხვა და სხვა ნაირი იქნება), მაგრამ ჩვენს ყურს არ შეუძლია გაიგონოს ისეთი ხმები, რომელსაც ან ძლიერ ნელი, ან ძლიერ სწრაფი რყევა იწყებს.

ტკიცებს, რომ წითელ სხივების დაწყებამდე სხვა უჩინარე სხივებიც არის კიდევ, ხილულ სპექტრის უგრძეს მანძილზე და აგრედვე იისფერ სხივებს იქით, სპექტრისოდენა მანძილზედ, მეორე ნაირი უჩინარი სხივები (სურ. 21). პირველ ნაირ სხივებს უწოდებენ ინფრაწითელს, ესე იგი წითელს აქეთ მდებარე სხივებს, და მეორეს — ულტრა იისფერს, ანუ იისფერს იქით მდებარეს.



ამათ არსებობას გვარწმუნებს შემდეგი გარემოება: ჩვენ ვიცით, რომ სინათლის სხივებს სითბო აქვსთ, რასაც სხეულითაც ვგრძნობთ და თერმომეტრითაც ვტყობულობთ. სპექტრის სხვა და სხვა ადგილას რომ მოვათავსოთ გაუმჯობესებულ სისტემის მგრძობიარე თერმომეტრი, დავრწმუნდებით, რომ იისფერ ნაწილში ყველაზედ უფრო სუსტი სითბოა, შემდეგ მატულობს და წითელ ნაწილში ყველაზე უღონიერესი სითბოა. მაგრამ თუ გამოვსწევთ თერმომეტრს წითელ სხივებს აქეთ, დავინახავთ, რომ სითბო კიდევ მატულობს ხილულ სპექტრს აქეთ, შემდეგ თან-და-თან კლებულობს და სპექტრზედ ცოტათი უგრძეს მანძილს შემდეგ ისპობა. ეს ცდა ამტკიცებს, რომ აქ უნდა იყოს უხილავი ანუ ბნელი სხივები; იმათ უწოდეს ინფრა წითელი სხივები მათის მდებარეობის გამო (ინფრა ლათინურად ნიშნავს „აქეთ“) და სითბოს სხივები მათის თვისების თანახმად.\*)

**ი. მოხეშვილი**

(შემდეგი იქნება)

\*) ამ ნაირად ზომიერი რყევა ეთერის ტალღებისა აწარმოებს სინათლისა და სითბოს შთაბეჭდილებას, და ნელ რყევას-კი მხოლოდ სითბოს სახით ტყობულობს კაცი.



## ნიკოლოზ პატიაიშვილი

(1816—1845)

I

პეტერ ვარსკვლავივით მოეგლინა ამ სამოცის წლის წინად ჩვენს მაშინდელს უფერულს და უსაგნო ცხოვრებას დიდის ნიჭის მგოსანი ნიკოლოზ პატიაიშვილი. სულ ცოტა ხანს აფრქვია ამ ვარსკვლავმა თვისი სხივი და მალე შიგვეფა-

რა თვალთვან, მაგრამ ნ. ბარათაშვილის ნაწერები, მისი პოეზია კვლავ ცისკარივით ბრწყინავს ჩვენის მწერლობის ცაზე და, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ელვარებს და ატკბობს ჩვენს სულსა და გულს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, შინაობაში ტატოდ წოდებული, დიდად განთქმულის გვარის ჩამომავალი იყო. მისნი წინაპარნი სამშობლოსთვის თავდადებულნი მუშაკნი იყვნენ. პოეტის მამა მელიტონ რუსების საქართველოში დამყარების დროს ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იყო არჩეული და ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა. დავალიანებულიმა მამამ პატარა ტატო ნაკლულევანებაში აღზარდა. დედა პოეტისა ეფემია ორბელიანთ ქალი იყო, სასიქადულო მგოსნის გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი და. რამდენადაც მელიტონ, ანჩხლი და ჩაჩხანა, თავს აბეზრებდა ყველას, იმდენად მშვიდი და წყნარი ეფემია ალკრსიანად ზრდიდა ტატოს. დედის ხელმძღვანელობით ისწავლა—რა ქართული წერაკათხვა, მალხაზი და ცქვიტი ყმაწვილი (დაიბადა ტფილისს 22 ნოემბერს 1816 წ.) შიბარეს კალოუზნის ეკლესიის სასწავლებელში, სადაც შეითვისა სამღვთო წერილის ენა, შემდეგ ისე ხელოვნურად ჩაქსოვილი მისს ნაწერებში. თერთმეტის წლის ტატო შეიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ საუკეთესოდ სწავლობდა, თუმცა იმ დროს მასწავლებლები ვერ იყვნენ ღირსეულად მომზადებულნი. მხოლოდ ეფრემ ალექსიშვილმა—მესხიშვილმა იქონია პოეტზე გავლენა და ქართულ ენის სიყვარული მტკიცედ ჩაუნერგა გულში. სწავლის განგრძობა უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოახერხა უსახსრობის გამო და ვერც სამხედრო სამსახურში შევიდა, რადგან ლეკურის თამაშობის დროს ფეხი იტყინა და სამუდამოდ დაკოჭლდა.

ოხუნჯი და მზიარული პატარაობაში, ტატო დაიწავრა და დაუჩნდა სამოქალაქო სამსახურის უღელში შემშობის დროს, ანუ როგორც თვითონ ამბობს „სუდაოი რასპრავეაში“ შესვ-



ლის შემდეგ. ცხრა წელიწადი (1835—1844) გულმოდგინედ იმსახურა ამ დაწესებულებაში, მაგრამ სტოლის უფროსობას ვერ გასცილდა. გარდაცვალების წინა წელიწადს დაპნიშნეს განჯის მაზრის უფროსად, მაგრამ ოჯახის იმედმა და მწერლობის ვარსკვლავმა მხოლოდ რამდენიმე თვე შესძლო იქაურ ციებ-ცხელების ატანა: 9 ნოემბერს 1845 წ. გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზრდა, სულ 29 წლისა.

დროებით განჯაში დაასაფლავეს და თითქმის ნახევარ საუკუნის განვლით შემდეგ გადმოასვენეს ტფილისს, სამშობლო ქვეყანას და მისი ნაშთი მიაბარეს დიდუბეს სასაფლაოს, საიდანაც იგი გაპყურებს თავის საყვარელს მთაწმინდას.

## II

ნიკით აღბეჭდილი პოეტი, ოცნებით სავსე ოცის წლის ყმაწვილი, იძულებულ იყო დასჯერებოდა უბრალო მოხელეობას; თუმცა უნებლიედ დაემორჩილა თავის „მკაცრს ბედს,“ მინც მასთან „შებმას“ არ უკადრისობდა. ჯარის-კაცობის მოტრფიალე გახდა, —სამოქალაქო „ჩინოვნიკი;“ ძვირფასი დრო, რომელიც ახალგაზრდა კაცმა თავის განვითარებას უნდა მოახმაროს, იძულებული იყო შეეწირა ქალაქდების წარმოებისათვის. მისის სულის მოთხოვნებიანი დაუკმაყოფილებელი რჩება. არც თანამოსამსახურენი, არც საზოგადო ცხოვრება არ აძლევდა საზრდოს მის გონებრივს მისწრაფებას. მაშინ არ არსებობდა არც გაზეთი, არც თეატრი, არც სხვა რამ გონივრული ვასართობი. ნაცნობ-ნათესაენი იკრიბებოდნენ სადილ-ვახშმად, დროების გასატარებლად, ქორებისა და ძველის ამბების გასაზიარებლად.

ამ გვარს წრეში ნიკოლოზ ბარათაშვილი გრძნობდა მხოლოდ სიმწარეს და დაჩაგრულს მარტოობას. უამხანაგო, უსაგნო და უსინათლო ცხოვრება უწამლავდა სულს. „კაეშანმა“ შეიპყრო და „იდუმალმა ხმამ“ დაიმონა: ეს ხმა ჩასძახებდა:



ეძიე, ყრმაო, შენი ხვედრიო, მაგრამ „საშვენს“ ვერ მერგუნოა  
მისწრაფებანი გულში ჩიკლა:

მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვწავებ  
და მით კაქშანს ვერდა ვაშორებ.

ასე შეიქნა ცხოვრებით უკმაყოფილო, სულით ობოლი, ქკულით ურწმუნო, გულ-ჩათუთქული. ნათესავ-მეგობრები გარს ეხვივნენ, მაგრამ თავს ობლად სთვლიდა. მეგობრებს ეძებდა კაცთა საზოგადოების გარეშე. იგი უზიარებს თავის ნაღველს მტკერის დუღუნს, მთაწმინდას, ვარსკვლავებს, მთვარიან ღამეს: დამწვიდებას ეძიებს ზენაართ სამყოფში, ოცნებათა სამფლობელოში. იგი გრძნობს, რომ მას „სოფელი“ ვერ სცნობს და თვით სდგას საზოგადოებაზე მაღლა; გული ეუბნება, რომ იგი ახლანდელ მდგომარეობისთვის არ არის დაბადებული. ღვთიურს ნაპერწკალს მაინც არ იქრობს და გამოაქვს სამწერლო ასპარეზზე.

ჯერ ისევ სკოლაში დაიწყო ლექსების წერა. ეს პოეზიის სიყვარული შეტყუა ცხოვრებაშიაც. საქართველოს ისტორიის შესწავლამ მთელი პოემა შეათხზვევინა. ეს პოემა „ბედი ქართლისა“ დიდის დაკვირვებითა და საგნის ცოდნით არის დაწერილი და აწონ-დაწონილია ორი დაპირისპირებული აზრი, შეუერთდეს საქართველო რუსეთს თუ არა.

მაგრამ ბარათაშვილი უკვდავია იმ პატარა ლექსებით, რომლითაც თავის სულის კვეთება გაგვაცნო და მასთან ერთად ჩვენის გულის სიმებიც ააქდერა. ათის წლის განმავლობაში დასწერა მხოლოდ 30 პატარა ლექსი და ერთი პოემა. მაგრამ რიცხვით და რაოდენობით ხომ არ იზომება სამხატვრო ნაწარმოებთა ფასი და ღირსება. ნიქი და გენიოსობა ერთის ლექსითაც გამომქლავნდება. ნ. ბარათაშვილისაც, „მერანის“ გარდა რომ არა დაეწერა-რა, მაშინაც ლიტერატურა, ჩვენი და ევროპიულიც, უკვდავად აღიარებდა და მის შემოქმედს საშვილიშვილო ძეგლს დაუდგავდა. პოეტს საერთოდ შეუძლიან



მკაფიოდ გადმოგვეცეს და აღნუსხოს ის, რაც უნდა გავაუმჯობესოთ და გამოუცდია. ნ. ბარათაშვილის წილად ხედა მხოლოდ წვა-დაგვა და მწუხარება. ამიტომაც მის პოეზიას აზის უკმაყოფილობის ბეჭედი. კაეშანი და გოდება ნ. ბარათაშვილის ისეთის ხელოვნებით და ძლიერებით აქვს ჩაღვეთილი თავის ლექსებში, რომ თამამად შეუძლიან გვერდში ამოუდგეს მსოფლიო პოეტებს. დიდებულია მეტადრე მგოსანი, როცა მიჰმართავს ბუნებას და უზიარებს თავის გულის ვაებას; მაგალითად: „შემოღამება მთაწმინდაზე,“ „ფიქრი მტკვრის პირად,“ „არაგვი“ და სხვ. პოეტი ასულდგმულებს ცივს და უტყვეს ბუნებას და ჰხატავს კაცთა კმუნვარებისა და მისწრაფების მოზიარედ. ჩვენ გვესმის ეს სულის კვეთება და პოეტთან ერთად ვიგონებთ დამაფიქრებელ „მთაწმინდას“, როდესაც იქ დაისადგურებს საღამოს იდუმალება და მის სერზე ყვავილოვანი ველი სამადლობელს გუნდრუქს უკმევს შემოქმედს. მაგრამ თვით მინაზე-ბული მთაწმინდა პოეტივით „მწუხარე და სევდიანია.“

ჰე, ცაო, ცაო! ხატება შენი ვერ კადევ გულზედ მაქვს დაჩუქული!  
ახცა რა თვალნი დავეარდს გიხილვენ, შეის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!  
მაგრამ შენამდის ვერ მოადწევენ და ჰაერშივე კანიბნევიან!

პოეტსა და მთაწმინდას შორის განმტკიცდა კავშირი, რადგან ორივენი მწუხარენი და სევდიანნი არიან.

მე შენს მჭვრეტელს მავაწეების სწუთარება!  
გულის-თქმა ჩემი შენს აქათა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამეფოს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

პოეტის მისწრაფება ვერ ჰპოებს საგანს ქვეყნად, ფიქრნი მისნი „პრბიან შორად, შორად, ცის დასაველად,“ როგორც ამბობს ლექსში მტკვრის პირას. მაგრამ უფრო მკაფიოდ თავისი უკმაყოფილება ქვეყნიურ ფუქსოვატობით გამოთქმული აქვს უცვლად „მერანში.“

რაა, მოვშორდე ჩემსა მამუდსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმ-ოუბარსა,



სადგ დამიღამდეს, იქ გამოიყენდეს, იქ იყოს ჩემი შიშა — საშინაო მშობლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა შე საიდუმლოდ.

პოეტი თავსა გრძნობს უმეგობროდ და უნუგეშოდ. „ობოლია“ სულით. ასეთი ობლობა-კი უფრო მწარეა და შვებას მოკლებული, ვიდრე გული ნათესავთ მოშორებული. „საბრალოა მხოლოდ სული ობოლი: ძნელ-ღა ჰპოვოს, რა დაჰკარგოს მან ტოლი“. დაობლებულს პოეტს ჰფლობს „სული ბოროტი“, რომელმაც მოუკლა ყმაწვილობის ბრმა სარწმუნოება და მომზიბლავნი აღთქმანი მტვრად და ტანჯვად გარდაუქცია. ამიტომ იგია „ქკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი“. იმედ-მიხდილი პოეტი გაურბის მეგობართ და მამულს, რომ შავად მღელვარე ფიქრი ნიავს მისცეს ან მერანის გიჟურ ლტოლვის თან გაატანოს. ასეთმა სასოწარკვეთილმა გრძნობამ მაინც არ გაჰხადა ნ. ბარათაშვილი კაცის მოძულედ, ცხოვრების გულგრილ მაყურებლად. პოეტს გზას უნათებს დიადი კეთილშობილური მისწრაფება უსამართლობის დასათრგუნვად; თავგანწირულებით ებრძვის გარემო სიმუხთლეს, რომ ბილიკი გაუკვლიოს და გაუადვილოს მომავალ თაობას იდეალის განხორციელება.

და ჩემს შემდგომად მოძქვს ჩემსა საძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუბოგრად მას ჰუნე თვისა შავის ბედის წინ გამოეჭროდდეს.

ნ. ბარათაშვილი საქვეყნო საქმისთვის იწვის, კერძო ინტერესის დაკმაყოფილება სიფუქსავატედ და არარად მიაჩნია. ამიტომაც თამამად ჩაგვძახის:

არც კაცი ვარება, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფელისთვის არა აზრუნვოს.

რაც უნდა გულჩათხრობილი იყოს პოეტი, მაინც სწამს, რომ მრისხანე ვარსკვლავი შეიცვლება და ციური ცეცხლი კვლავ აღენთება:

რა სახითაც განდა შენ შე მენვენო,  
მაინც კიბნობ, მშვენაურის დის მთუნო:



ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
 შადხანებულ დაბინდულას გულისა.


სასტიკმა ქარმა დაჰქროლა „მერანის“ დამწერს და მოუკლა ყმაწვილური სარწმუნოება, მაგრამ სიყვარული კეთილისა და სიწმიდისადმი მაინც უმწიკვლოდ შეუნახავს სულის სიღრმეში. მას უყვარს ლამაზი ქალი შავ-თვალეებიანი, დაჰნატრის ჩჩვილის ტიკტიკს და იტკბობს უცნაურის მისის ხმით სმენას; თავს იხრის ბუნების სიმშვენიერეს წინაშე და სტკბება მისის მზერით. დამათრობელს სიამოვნებას უღვიძებს ალვის ხე „განმარტოვებულს ფრიალოს კლდეზე“, არაგვის მობიბინე ნაპირნი, მტკვრის დუღუნნი, მთაწმინდა, „ხან ცხოველი, ხან მცინარი, ხან ცრემლიანი“, დამწყვდეული „დიდ საბლში“ სუმბული, ამო, ლამაზი, რომელიც თავისს მობაასე მწირს განუზიარებს:

ზამთრობით ბუნება არა ჰკვდება, სევდით ამოსვას,  
 რომ თავისს სატრფოს — გაზაფხულსა განეშორებას.

ნ. ბარათაშვილის სვეც ასეთი იყო. იგი გულმოკლეულია თვისის ბედით და სამშობლოს დაზარულ ცხოვრებით; მაგრამ იმედი უკეთესის მომავალისა, როგორც ნათელი ვარსკვლავი ცაში, ღვივის უკვდავად მის გულში და ამხნეებს საბრძოლველად „ქართან და კლდესთან“, და ყოველსავე იმასთან, რაც-კი ელოდება იდეალის განხორციელებასა.

ა. ბ.





# მითღობია

ბრძოლის ომი

ჰექტორი გამოეთხოვა ანდრომახეს



ექტორი გამოემშვიდობა მშვენიერ ელენეს, და უყოვნებლივ სახლისაკენ გაეშურა, მაგრამ სახლში არაფერი არ დაუხვდა. ტროადელების მთავარ სარდლის მეუღლე ანდრომახე თავის პატარა ვაჟი-შვილით სწორედ ამ დროს სკეის ალაყაფის კარების მახლობლად მალაღს კოშკზედ იჯდა და ბრძოლის ველს ცრემლების ფრქვევით მწუხარედ გასცქეროდა. ანდრომახეს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იგი შეტყურებდა ელლინთა მხედრობის ძლევამოსილ იერიშს. ტროადელები თან და თან უკან იწეოდნენ ქალაქის ზღუდეთაკენ, მათს რაზმს თან და თან აკლდებოდნენ საუკეთესო მებრძოლები, რომლებიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდის იარაღს ხელს არ აშორებდნენ. საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ბრძოლის ველი: ყველგან თავგანწირული ბრძოლა იყო გაჩაღებული, ყველგან გულის შემზარავ კენესისა და ვაების ხმა მოისმოდა. ანდრომახე კოშკის თავიდან დასცქეროდა ტროადელების თავგანწირულ გმირულ ბრძოლის და, რადგან ისინი მაინც მარცხდებოდნენ ბრძოლის ველზედ, თვალთავან ცხარე ცრემლი ნაკადულებრ გადმოსჩქეფდა და გადმოსჩქეფდა. საბრალოს შავი ფიქრები თავის სამშობლოს შესახებ მოხვეწებას არ აძლევდა, ითვალისწინებდა იმ მახლობელ მომავალს,



როცა ელლინთა მხედრობა შეუბრალებლად შეანგრევდა ილიონის ზღუდებს და მთელს მის სამშობლოს ერთიანად ააწიოკებდა, არ დაინდობდა არც დიდს, არც პატარას, არც მოხუცს და არც ახალგაზდას, არც მამაკაცს და არც დედაკაცს. დიალი შეუბრალებელი მტერი დაანგრევდა მის მშობლიურ კერას, სწორეთ იმ კერას, რომელიც მისთვის ასე ძვირფასი იყო; შეუბრალებელი მტერი არ დაინდობდა არც მის პატარა შვილს ასტიანაქსის, გამოასალმებდა ამ ჩჩვილ ყმას სიცოცხლეს! დიალი დაუნდობელი მტერი ილიონში არავის არ დაჰზოგავდა, ყველაფერს გაანადგურებდა, ყველაფერს ბოლოს მოუღებდა და იქ, საცა დღემდის სიცოცხლე სდულდა და გადმოდიოდა, საცა ხალხი თავისუფლად გრძნობდა თავის თავს, სიცოცხლე ჩაჰქრებოდა, თავისუფლების მაგივრად მონობა დამყარდებოდა!

ასეთ აზრებში იყო გართული საბრალო ანდრომახე, როცა მან დაინახა სკეისბქის კარებისაკენ მომავალი თავისი მეუღლე ჰექტორი. ანდრომახე დაუყოვნებლივ ჩამოვიდა მიალ კოშკიდან და თავის მეუღლის მისაგებებლად გაეშურა. ანდრომახეს თან მიჰყვებოდა გამდელი, რომელსაც ხელში ეჭირა ტროადელების მთავარ სარდლის მემკვიდრე პატარა ასტიანაქსი. ჰექტორმა მღუმარედ გადაჰხედა თავის პატარა შვილს და ოდნავ უღვაშებში ღიმილმა შეუთამაშა. ანდრომახე მიუახლოვდა თავის მეუღლეს, მოჰკიდა ხელი ხელში და ცრემლებ-მორყული ესეთის სიტყვებით მიესალმა ჰექტორს: «ჩემო ძვირფასო და გონებიდან განუშორებელო ჰექტორ! ნუ თუ ისე გაგიქვავდა გული, რომ არ გეცოდება არც შენი პაწაწკინტელა ვაჟიშვილი და არც შენი საბრალო და საცოდავი მეუღლე ანდრომახე! გული როგორღაც შეთანაღრება, საკეთილოს არას მიქადის, ვგრძნობ, რომ სულ მალე დავქვრივდები. შეუბრალებელი აქვევლები თავს დაგესხმიან და სიცოცხლეს გამოგასალმებენ. განა შენს სიკვდილს მე ასე გულ გრილად ავიტანი! შენს სიკვდილს შემდეგ განა ჩემს სიცოცხლეს რაიმე ფასი ექნება?! ათასჯერ

უმჯობესი იქნება ჯოჯოხეთის სამფლობელოში <sup>გარდასახლდ</sup> და, სანამ აქ უშენოთ დავრჩე და მუდამ მწუხარებითა და ვაებით ვიტანჯო. რაღა დამრჩენია სააქაოს სანუგეშო?! დედა მე არა მყავს, არც მამა, არც დები და არც ძმები! ერთად ერთი პატრონი და მანუგეშებელი შენა ხარ ჩემი! შენზედ ამომდის, ჩემო ძვირფასო ჰექტორ, მზე და მთვარე! შენ ხარ ამ ჭამად ჩემი მამა, ჩემი დედა, ჩემი ძმა და ჩემი მეუღლე! შემობრალე, ჩემო კარგო, და დარჩი აქ ჩვენთან. ნუ დააობლებ შენს პაწაწკინტელა ასტიანაქსის, ნუ დააქვრივებ შენს ანდრომახეს, რომელიც შენის გულისათვის ასე უზომოდ იტანჯება და სასოწარკვეთილებას ეძლევა! გახსოვდეს, რომ უშენოდ ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია! ნუ მოგვისპობ ამიტომ სიცოცხლეს ასე უდროოდ! მე თუ არ გებრალეები, შენი საყვარელი შვილი ასტიანაქსი მაინც შეიბრალე! საბრალო ასტიანაქსი! ჯერ ხომ არ იცის, რა უბედურება მოეღოს! საბრალო, საბრალო ჩემი პაწაწკინტელა! ხომ ჯერ კიდევ არ იცის, ცხოვრება რა ხილია! ჯერ კიდევ ვარდის გაუშლელი კოკორია და, ვაგლახ მე, რომ ეს მშვენიერი კოკორი შენს სიკვდილს შემდეგ ვერასოდეს ვერ გაიშლება, ვერ იხილავს მზის ცხოველმყოფელ სხივებს! მაშ, ჩემო ძვირფასო ჰექტორ, შეიბრალე შენი ცოლ-შვილი და ნუ წახვალ ბრძოლის ველზედ. აქედანაც ადვილად შეგიძლია თვალყური ადევნო ბრძოლის ველს და საჭირო დახმარება გაუწიო ჩვენს მეომრებს. აი, სწორედ გორაკზედ დააბანაკე ნაწილი ჩვენის მხედრობისა, რადგან იქინდან ადვილად შეუძლია მტერს გადმოღიახოს ჩვენის ქალაქის ზღუდენი, შემოგვესიოს და ერთიანად გაგვანადგუროს.“

ჰექტორმა მწუხარედ, მაგრამ ალერსით უპასუხა თავის საყვარელ მეუღლეს: „ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეუღლე! ქვეშაირიტად რომ გულს მიკლავს, სულს მიხუთავს შენი ასეთი სულიერი მდგომარეობა! ხოლო ჩემთვის მეტად სამარცხვინოა ბრძოლის ველს მხდალივით თავი დავახწიო და შორიდან უქმად



შეეცქირო ჩვენის მეომრების თავგანწირულ სულს კეთილმან  
 წუთი სოფლის გამოსაღმებას. აბა, ჩემო ძვირფასო, შე რომ  
 ასე მოვიქცე, როგორ შემიძლია მას შემდეგ პირდაპირ შეე-  
 ხედო რომელსამე ტროადელს, ქალი იქნება თუ კაცი! ვინ რას  
 მეტყვის, ან ვის როგორი პასუხი გავცე! ყველა ჩამქოლავს,  
 ყველა სამშობლოს მოღალატეთ ჩამთელის და მართალიც იქნე-  
 ბა! არა და არა, შე ასე ვერ მოვიქცევი! ესეთი საქციელი არ  
 შეჭფერის ტროადელების მთავარ სარდალს! მუდამ ჩვეული  
 ვარ, მტერს შესაფერი ანგარიში გაუწიო, ყოველთვის პირ-  
 ველ რიგში თავდავიწყებით ვიბრძოდი და ამ ჩვეულებას  
 დღესაც ვერ უღალატებ. მაგრამ მე ისე არ მაწუხებს ტროა-  
 დელების მომავალი მწუხარება, ჩემის მოხუცის მშობლების  
 უნუგეშო მდგომარეობა და ძმებისა და დების უბედობა, რო-  
 გორც შენი უმწეო და მწარე ხვედრი. ჩვენის სამშობლოს გა-  
 ნადგურების შემდეგ. აქეველები შენს მდულარე ცრემლებს არ-  
 დაინდობენ, ტყვეთ წაგიყვანენ და უბრალო მონა-მხვეალი-  
 ვით წყალს გაზიდვინებენ და სხვა სამძიმო სამუშაოს დაგაკის-  
 რებენ. დაგინახავს ვინმე, როცა შენ თვალებზედ ცრემლებ-  
 შეუშრობელი ქაპანწყვეტაში იქნები ჩაბმული, და იტყვის:  
 „აი, ჰხედავთ, ჰექტორის მეუღლეს, იმ ჰექტორის, რომელიც  
 თავგანწირვით იბრძოდა მუდამ პირველ რიგში მტრის წი-  
 ნააღმდეგ ილიონის ზღუდეთა მახლობლად.“ დიად, იტყვის ამ  
 მწარე სიტყვებს და კვლავ განაახლებს შენს მწუხარებას. დიად,  
 მაშინ მოგაგონდება მეუღლე, რომელიც უეჭველად დაგის-  
 ნიდა ასეთის სამარცხვინო ტყვეობისა და გაჭირვებისაგან. არა  
 და არა, ათასჯერ უმჯობესია გადავიღუპო ცხრა მთას იქით,  
 უმჯობესია უმალ შავს მიწაში დავიმარხო, სანამ ტყვეთ გიხი-  
 ლო და ჩემს ყურებს შენის გაჭირვების ხმა შემოგესმას.“

ასე ესაუბრებოდა ჰექტორი თავის მეუღლეს. ანდრომა-  
 ხე სიყვარულით შესცქეროდა ჰექტორს და თვალთაგან ცრემ-  
 ლები მარგალიტებრ სცვიოდა.

ჰექტორმა, როცა ანდრომახესთან ლაპარაკი გაათავა, მოი-  
 სურვა თავის საყვარელ შეილის, პაწაწკინა ასტიანაქსის ხელში

აყვანა და მისი გადაკოცნა, მაგრამ 'შვილი მამას არ ნებდებოდა...  
 "შეშინებული გამზრდელს გულზედ ეკვროდა. ყმაწვილს უთხოვდა...  
 აშინებდა ჰექტორის ბკეყრიალა იარაღი. ცოლქმარმა ერთმა-  
 ნეთს გადაჰხედეს და ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყოთ.

ჰექტორმა დაუყოვნებლივ შეიხსნა იარაღი, დააწყო იქვე მიწაზედ და შემდეგ ხელში აიყვანა თავისი პატარა ასტიანაქსი და ორივე ხელით ტუჩებზედ მაგრად მიიკრა.

"დიდებულო ღმერთების მამათ მთავარო ზევსო და თქვენ, ყველა უკვდავო ღმერთო! უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი შვილი ჩემსავით ძლევამოსილი იქმნეს მთელს ტროადაში, ჩემსავით მძლავრი და მამაცი! დეე, დიდ ხანს და დიდ ხანს იმეფოს ძლიერებით ილიონში! როცა იგი ბრძოლის ველიდან დაბრუნდება სახლში, დატვირთული მრავალის ნადავლით, დეე მისმა მნახველმა გულწრფელად წამოიძიხოს: „ღირსეული მამის შვილი თავის ღირსეულ მამას სჯობნისო“.

ამ სიტყვების შემდეგ ჰექტორმა პატარა ასტიანაქსი თავის დედას გადასცა. ან რომახემ ღიმილით გულში მაგრად ჩაიკრა თავისი შვილი.


ჰექტორი ისევ მიუბრუნდა თავის მეუღლეს, სიყვარულით ხელი მოჰხვია და გამოთხოვებისას უთხრა:

"ჩემო ძვირფასო და საყვარელო მეუღლე! ნუ იწყალებ გულს მწუხარებით! თუ განგებას ჩემთვის სიკვდილი არ დაუწესებია ბრძოლის ველზედ, ისე არც ერთს მომაკვდავს არ შეუძლია სიკოცხლე მომისპოს! წადი სახლში, მიჰხედე ოჯახს და ომის საქმეები და მტრისათვის პასუხის გაცემა მამაკაცებს დაუთმე. ომიანობის და ლაშქრობისათვის ტროადის მამაკაცები უნდა ზრუნავდნენ და მათ შორის ყველაზედ უწინარეს მე".

ამ სიტყვებს შემდეგ ჰექტორი ერთხელ კიდევ ღმობიერად გამოესალმა თავის საყვარელ მეუღლეს და ბრძოლის ველისაკენ გაეშურა.

ანდრომახე დიდხანს და დიდხანს გაჰყურებდა ბრძოლის ველისაკენ მიმავალ თავის მეუღლეს და მდულარე კრემლებით ირგვლივ მიწას ალტობდა.

ა. მიქაბერიძე



## ანდრეაზი და ბამოცანები

### შ ა რ ა ლ ა

სიტყვის პირველი მარცვალი  
გამმაში ნოტას მოხედება;  
მეორე ფრინველი არის,  
მზეს ეშალვის, ლამით ჩნდება;  
მესამით ძაღლსა მიუსევთ,  
თუ დავინახეთ მტერია,  
მთლად სიტყვის გამოცანაა—  
კითხულობს ერი, ბერია.

დ. კარბელაშვილი

მე-11 №-ში მოთავსებულ ამოცანის აღსნა:

- 1) ენკენისთვე,
- 2) ნამგალი,
- 3) აკაკი,
- 4) სიღნაღი,
- 5) ძერა,
- 6) ვირი,
- 7) ალუჩა,
- 8) ლოყა,
- 9) ილია,
- 10) ავშარა,
- 11) რიონი,
- 12) ალაზანი,
- 13) ქარი,
- 14) ვარცა,
- 15) სიმინდი.

ენას ძვალი არ აქვს, (ესე იგი რაც გინდა, იმას იტყვი.)



მე-14 №-ში მოთავსებულ გასართობის ახსნა:

**ახსნა:** უნდა აიღოთ რბილი და სქელ-კანიანი ფეხსაცმელი ან აგოთ ნემსზედ მგარი აბრეშუმის ძაფი. გაატარეთ ნემსი კან ქვეშ ისე, რომ მისი წვერი გამოვიდეს ცოტა მოშორებით, პირველ ნახვრეტ ქვეშ. ამოიტანეთ ძაფი ამ მეორე ნახვრეტ-ტიდან ისე, რომ ძაფის ბოლო არ დაიმალოს კან ქვეშ. შემდეგ დააბრუნეთ ნემსი მეორე ნახვრეტშივე და ამოიტანეთ მისი წვერი მესამე ადგილას, ძირს, თან ამოაყოლეთ ძაფიც. ამ ნაირად შემოაველეთ ძაფი ვაშლის კან ქვეშ ირგვლივ და ამოუღეთ თავი პირველ ნახვრეტშივე, სადაც ძაფის ბოლო გქონდათ დატოვებული. ამ ადგილიდანავე შემოაველეთ ვაშლის ძაფი კან ქვეშ ჯვარედინად და ამოუღეთ თავი ისევ იმ ადგილას, სადაც პირველ ძაფს, მაშასადამე, ვაშლი არის შემოვლებული კან ქვეშ ჯვარედინად ორი ძაფით, რომლებს თა-ვიც და ბოლოც ერთ ადგილას არიან ამოღებულნი. ამოსწიეთ ფრთხილად ამ ძაფების თავებს, და თქვენი ვაშლი კან ქვეშ გაიყოფა ოთხად. თუ ნემსი ხერდიანად და გაფრთხი-ლებით იხმარეთ, ვაშლის კანს ნახვრეტები არ დააჩნდება.

რ ე ბ უ ს ი



დღა

ნაკვალ სახელი.



მ

„100,000



ა




საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



, 5



” 6



,

100, 100

(უარისნიშანი)

1000



1000



1000




1000



, 10, 10



1000, 1000



1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდე.



საქართველო სურათებიანი ჟურნალი

# ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მკირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემია:** მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.

„რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწყვეს სეგანკებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარს წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდადთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შიადება წლიურად და ნახევარა წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.